


ქობულა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

708 / 4
1986 / 4

ძობაძე



ქობულა

2
1986

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოება



ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND
CULTURAL MONUMENTS



ღვთისმშობლის ზტი. სოფ. ჩავაში (მესტიის რაიონი). სლოჯი დამზადებულია ხელოვნების
 ძეგლითა ფიქსაციის ლაბორატორიაში.

Икона Богоматери; с. Чавашин. (Местийский р-н). Слайд изготовлен в
 лаборатория фиксации памятников искусств.

პარაკანაზი — ხეობის სამრევლო XV სუეუნის (ახალციხის რაიონი).

На обложке — Хeотн. Колокольня XV в. (Ахалцихский р-н).

ქეკელის ქეტილი ქეტილი

№ 2 (1984)

ქართული საზოგადოებრივი

გამომცემი 1984 წლიდან

საზოგადოებრივი კომპლექსი: ირაკლი აბაშიძე, გივი ბარათაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი
ბოლქვაძე (პ/მგ მდივანი), პარპონ ზაქარაია, ირაკლი ზაქარაიასვილი, მარინა ლორთქი-
ფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მახარაძე, გივი პაპალაშვილი, ალექსი
როგავაძე, თენგიზ ღვინაძე, ზორბეგ ჩიბაია, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ცინციშვილი

რედაქტორი — ვახტანგ ბერიძე

Редактор серии **Иракий Цицишвили**


Редактор **Вахтанг Беридзе**

შინაარსი

პირველი ნაბიჯები 100	5
მას პრინციპალი — გიორგი ჩუბინაშვილის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო	6
სუსლანან შინა — გიორგი ჩუბინაშვილის წვლილი სენაქთში დაცული ქედური ზედი	7
ნების ძეგლი შესწავლა და მათ მოუღია პატრონობაში	7
მას პრინციპალი — დღის წესრიგშია ქართული ენის მატერია	13
ნობარი პალატაში — ენციკლოპედიის სამონასტრო კომპლექსის გუმბათიანი ტაძარი	23
„ქვედაწმინდა“	
ზაზა სსრკში — მინაწერი ნათლისმცემლის მონასტრიდან	40
დღის პრინციპალი — ქვეყანა გუგარეთის თონეთიდან	41
პირველი პრინციპალი — ქვეყნის ერთი უცნობი არქიტექტურული ძეგლის შესახებ	49
(განმარტება)	
მეორე პრინციპალი, ნოვარ მონასტრის, თამაზ სულაშვილი, ვერა ლიპინი	
30-ლი — კერძის ხეობის საიდუმლოება	51
მეორე მონასტრი — ბაიბის (შენახვა) კედელში გამოკვეთილი ეფესოსი საფარები	61
ნოვარ მონასტრი — ღარები აქვითაში	66
ნაზ სულაშვილი — 1836 წლის ტვიის დათა ახალციხიდან	70
თანამის ვერსალის ხსოვნა	72
დღის რედაქციის ხსოვნა	73
მონასტრები რუსულ და ინგლისურ ენებზე	75—80

СОДЕРЖАНИЕ

Г. Чубинашвили 100	5
Е. Привалова — К столетию со дня рождения Г. Чубинашвили	6
Р. Кемия — Деятельность Г. Н. Чубинашвили по изучению и охране памятников чеканного искусства, хранящихся в Сванетии	7
Е. Привалова — На повестке дня — грузинские росписи	13
Н. Алхазашвили — Купольный храм «Квелацминда» Вачнадзванского монастыря	23
З. Схиртладзе — Прииска из монастыря Натлиевцемели	40
Д. Бердзенишвили — Каменный крест из ущелья Гуджарети	44
Г. Чилашвили — Об одном неизвестном архитектурном памятнике в Кахети (Вазовани)	49
Ц. Лапачи, Н. Мохевишвили, Т. Сулаквелидзе, З. Пекиришвили — Тайны ущелья Курухана	54
К. Тордиа — Скальные церкви Банеби в Месхети	61
Н. Иванидзе — «Дарани» в сел. Анквита	66
Н. Судадзе — Свинцовая доска 1836 года из Ахалцихе	70
Памяти Тинати Вирсаладзе	72
Памяти Левана Рчеулишвили	73
Анонсы на русском и английском языках	75—80



18372

„ძველის მეგობრის“ ეს კრებული ეძღვნება დიდი ქართველი მეცნიერის, ქართული ხელოვნებათმეცნიერების ფუძემდებლის, ბიორგი რუბინაშვილის დაბადების 100 წლისთავს, რომელიც 1985 წლის 21 ნოემბერს შესრულდა.

გ. რუბინაშვილის მრავალმხრივსა და მრავალფეროვან მოღვაწეობაში, როგორც ცნობილია, მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად, თავიდანვე ძალიან დიდი ადგილი ეჭირა ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლთა დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე ზრუნვას, სამუზეუმო საქმის ორგანიზაციას. გ. რუბინაშვილის წერილებს, საჯარო გამოსვლებს, მოხსენებთ ბარათებს ფუძემდებელი მნიშვნელობა ქონდა ამ დარგში წარმოებული მთელი საქმიანობისათვის.

გ. რუბინაშვილი იყო ჩვენი საზოგადოების ერთი დამფუძნებელთაგანი, მისი გამგეობის წევრი სიცოცხლის ბოლომდე. „ძველის მეგობრის“ ერთ-ერთი რედაქტორი.

ბიბლიოთეკა
საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

გიორგი ჩუბინაშვილის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო

თითქმის დაუჭერებელია, რომ მას შემდეგ, რაც დაიბადა გიორგი ჩუბინაშვილი, განვლო ერთმა საუკუნემ — იმდენად ინტენსიურად განაგრძობს ცხოვრებასა და ზრდას მისი ინსტიტუტი (მის თანამშრომელთა რიცხვა 100 მიუახლოვდა), იმდენად ცოცხალია ჩვენში, მის მოწაფეებში, მისი ხსოვნა.

და აი, უკვე ძალიან ბევრი მას — ჩვენს „მამამთავარსა და კორიფსს“ — იცნობს მხოლოდ „შეპირი გადმოცემით“. თუმცა კი ინსტიტუტის ოთახების კედლებიდან გადმოვცქერის იგი — ეს დიდი პორტრეტები წარსული იუბილევების აღსანიშნავად იყო დამზადებული — და უნებლიედ ამ ჩვენთვის ძვირფას სახეს ინსტიტუტის უოველი ახალი წევრიც კი შეეხისხლხორცა, უმისოდ წარმოუდგენელია ჩვენი შრომა, ჩვენი უოველდღიური ცხოვრება, ჩვენი დღესასწაულები...

...საოცარი, უაღრესად მდიდარი, შემოქმედებითად სავსე და მიზანდასახული ცხოვრების გზა, გზა დაუღალავი ბრძოლებისა და დამსახურებული გამარჯვებებისა განვლო გიორგი ჩუბინაშვილმა — ერთ-ერთმა გამოჩენილმა მეცნიერმა, რომლის სახელი მის თანამემამულეთა სიამაყედ იქცა.

ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოვებული და ასევე ბრწყინვალედ განათლებული, იგი ეკუთვნოდა ქართველ მეცნიერთა იმ პლეადას, რომელიც ქართული მეცნიერების საწყისებთან იდგა და რომელმაც დააარსა ჩვენი უნივერსიტეტი; აქ უნივერსიტეტში გ. ჩუბინაშვილმა გახსნა ხელოვნების ისტორიის კათედრა და „ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტი“; იგი ჩვენი სამხატვრო აკადემიის პირველი რექტორი იყო. მის მიერ აქ სამუშაოდ მოწვეულმა საქართველოს საუკეთესო შემოქმედებითა ძალებმა და პედაგოგებმა აღზარდეს ნიჭიერ არქიტექტორთა, მხატვართა, მოქანდაკეთა თაობები; იგი იყო ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე სამუზეუმო საქმისა, აეგლთა დაიცვისა და რესტავრაციისა; იგი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი აკადემიკოსთაგანი და დამფუძნებელი ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს და რომლის უცვლელი დირექტორი იყო იგი 32 წლის განმავლობაში; იგი იყო ფუძემდებელი ქართული ხელოვნების ისტორიისა, როგორც მეცნიერებისა: მან წარმოგვიჩინა ქართული ხელოვნების განვითარების პროცესი, გამოავლინა ამ ხელოვნების თვითმყოფადობა და მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ხასიათი. მისი ადგილი და როლი მსოფლიოს ხელოვნებაში, შექმნა ხელოვნებათმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლა, რომელიც მოწინავეა საბჭოთა კავშირში; და იგი იყო დიდი მოქალაქე და თავისი ქვეყნის და ხალხის პატრიოტი, მუდამ მზადმყოფი ქვეყნის უოველ კულტურულ მოთხოვნაზე პასუხის ვასცემად.

და, ბოლოს, იგი იყო ბრძენი მასწავლებელი, გულუხვი და კეთილგანწყობილი, მომხიბლავი ადამიანი — თავმდაბალი, ტაქტიანი, გულკეთილი და ყველასათვის მისაწვდომი; იგი იყო საოცრად ბედნიერი ადამიანი თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში იმდენის გაკეთება შეძლო, რაც ზოგჯერ მისაწვდომია მხოლოდ დიდი კოლექტივისათვის.

მეა პაივალოვა

გიორგი ჩუბინაშვილის წვლილი სპანეთში დაბალი ხელოვნების ძეგლთა შესწავლასა და მოვლა-პატრონობაში

ქართული კულტურის დიდი მოამაგის, ღვაწლმოსილი მეცნიერისა და დიდი მოქალაქის გიორგი ჩუბინაშვილის მოღვაწეობის ყოველმხრივ შესწავლისა და შეფასება მეტად რთულია. დიდაა ამ ადამიანის ღვაწლი, რომელმაც ბთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება ეროვნული კულტურის შესწავლასა და ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლთა დაცვით, მათი დაცვისა და რესტავრაციის საქმეს შეაღწია.

გიორგი ჩუბინაშვილის შრომები მოიცავენ ქართული ხელოვნების თითქმის ყველა დარგს. ბუნებრივია, რომ ქართული ხელოვნების საფუძვლიანი შესწავლა მკვლევარმა ხელოვნების წამძღოლი დარგის, ხუროთმოძღვრებით დაიწყო, მაგრამ ხუროთმოძღვრებასთან ერთად, მისი მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი ქართული ოქრომკვედლობაც იყო, რომელსაც იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მკვლევარმა.

მცირე ხელოვნების ძეგლთა გაშუქება, როგორც დამოუკიდებელი ხელოვნების ნაწარმოებთა — ეს იყო მიზანი, რომელიც თავიდანვე დაისახა მეცნიერმა. ქართული ოქრომკვედლობის განვითარების მთლიანი ისტორიული პროცესის დადგენა მოითხოვდა უმთავრესი ძეგლების დეტალურ შესწავლას მტკიცე თანამიმდევრობით. მათ ზუსტ დათარიღებას, ყოველი მათგანის სპეციფიკური თავისებურებების ჩვენებით.

მკვლევარის მიერ ძირითადად შესწავლილია და დადგენილი ქართული ოქრომკვედლობის წამყვანი ძეგლები და მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები, რის შედეგადაც გამოვლენილია ქართული ოქრომკვედლობის განვითარების რთული პროცესი. ევოლუციის მნიშვნელოვანი ეტაპები, დადგენილია ზუსტი ქრონოლოგიური საზღვრები.

უნდა აღინიშნოს მკვლევარის ახლებური მიდგომა ხელოვნების ნაწარმოებისადმი. მატერიალური კულტურის ძეგლები შესწავლილია არა ცალკე, მოწყვეტით, არამედ განხილულია საქართველოს ისტორიის ფონზე, ქართველი ხალხის კულტურასთან, მისი განვითარების პროცესთან დაკავშირებით. ქართული ოქრომკვედლობის ძეგლები განხილულია კრისტიალური აღმოსავლეთის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნებასთან კავშირში. მკვლევარი იძლევა პარალელურ მასალას ევროპის ქვეყნების ხელოვნებიდან და თვალნათლივ ავლენს ოქრომკვედლობის დამოუკიდებელ განვითარების გზებს. მთელი სისრულით გვიჩვენებს ქართული ხელოვნების მალაქმზატრულ დონეს და მის ძეგლთა შესრულების ბრწყინვალე ოსტატობას.

მცირე ხელოვნების ძეგლებში, რომლებიც წარსულში არქეოლოგიურ ნივთთა გროვას წარმოადგენდა და მათი ღირსება მათი ისტორიული წარწერებით განისაზღვრებოდა, მკვლევარის მიერ წინ წამოწეულია მათი მნიშვნელობა, როგორც ხელოვნების ნაწარმოებებისა, რომელთაც მხატვრულ-ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად, აქვს თავისი დამოუკიდებელი განვითარების გზები. გიორგი ჩუბინაშვილის გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ქართული პლასტიკა ზოგადი მოცულობითი ფორმიდან, საკუთრივ სკულპ-



ტურულ, სხეულის ცალკეულ ფორმების პლასტიკურ დამუშავების გზას, ადრევე დაადგა და თავის სრულ სიმწიფეს უკვე X—XI საუკუნეებში მიაღწია. რითაც ერთი საუკუნით გაუსწრო მოწინავე ევროპის ქვეყნებს. სკულპტურის სკულპტურის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი თვალნათლივ აისახა და თავის სრულ სიმწიფეს სწორედ ლიონის პლასტიკაში მიაღწია, რამაც განაპირობა ოქრომპედლობის დიდი როლი და მნიშვნელობა ქართულ მხატვრულ კულტურაში, რისთვისაც მკვლევარმა მას არქიტექტურის გვერდით მიუჩინა ადგილი.

ქართული ჰელოენების ძეგლთა შესწავლის დროს გიორგი ჩუბინაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ზემო სვანეთის ეკლესიებში თავმოყრილ მცირე ზელოენების ძეგლებს. როგორც ორგანულ ნაწილს ქართული ოქრომპედლობისა, დაკავშირებულს იმ პრობლემებთან, რომელიც მეცნიერის მიერ წამოჭრილი იყო ცენტრალური რაიონების ოქრომპედლობის შესწავლისას და საჭიროებდა დასაბუთებას და განზოგადებას საქართველოს სხვა რეგიონებში შემონახული მასალის საშუალებით. სვანეთი კი ამ მხრივ უმდიდრეს მასალას იძლეოდა, რადგან საქართველოს ეს ულამაზესი, მაღალმთიანი კუთხე, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, თავისუფალი იყო გარეშე შტერთა თავდასხმებისა და ძარცვა-გლეჯისაგან, რაც ესოდენ მძიმე ტვირთად ედო საქართველოს ბარს.

გიორგი ჩუბინაშვილმა სვანეთში პირველად იმოგზაურა 1914 წლის გაზაფხულზე. მაშინ ბატონი გიორგი ჯერ კიდევ პეტერბურგში ცხოვრობდა. მეგობრის მიერ შემოთავაზებული ეს მოგზაურობა ითვალისწინებდა სვანეთის ფეხით შეწოვლას, მოფიქრებული იყო, როგორც მოგზაურობა საქართველოს ამ ლამაზი კუთხის დასათვალიერებლად. მაგრამ ბატონი გიორგი უკვე კარგად იცნობდა სვანეთის შესახებ არსებულ ლიტერატურას და გარკვეული ინტერესიც ჰქონდა საქართველოს ამ მხარისადმი. ამიტომ მისთვის ეს მოგზაურობა მარტო სანახაობრივ ხასიათს არ ატარებდა. რადგან მკვლევარი ამ დროს ვატაციებული იყო ფსიქოლოგიის საკითხებითა და ეთნოგრაფიით, ამიტომ ეს ინტერესი უფრო მეტად ეთნოგრაფიული ხასიათისა იყო. იგი მიზნად ისახავდა გასცნობოდა სვანეთის ეთნოგრაფიულ თავისებურებას და ამასთანავე ეკლესიებში თავმოყრილ სიძველეებსაც, რასაც კარგად იცნობდა დ. ბაქრაძის, პ. უეაროვასა და სხვათა მოგზაურობის დღიურებითა და შრომებით.

სვანეთიდან მიღებული შთაბეჭდილება უშედეგოდ არ დარჩენილა. ეკლესიებში თავმოყრილმა ოქრომპედლობის ძეგლებმა უფრო მეტად გაუღვიძეს ინტერესი მათი შესწავლისა.

1931 წ. გიორგი ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით ეწყობა ექსპედიცია სვანეთში. საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ პავლე ინგოროყვა, სიმონ ყაუხჩიშვილი და მუზეუმის ფოტოგრაფი ვ. თულაშვილი, საფუძველი ჩაუყარა ახალ ეტაპს ზემო სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლასა და მათი მოვლა-პატრონობის მოწყობის საქმეში.

გიორგი ჩუბინაშვილმა აღწერა ზემო სვანეთის 19 ეკლესიაში თავმოყრილი ძეგლები და შეუდარა იგი დ. ერმაკოვის მიერ, 1910 წ. ექვთიმე თაყა-



იშვილის ექსპედიციაში ყოფნის დროს, გადაღებულ ფოტოსურათებს. შედეგად რებამ გამოაქვინა, რომ შრავალი ძეგლი, რომელიც გასული საუკუნის 50-60 წლებიდან ფიქსირებული იყო ცალკეული პირთა მიერ და სპეციალურად მოწყობილ ექსპედიციების დროს, ადგილებზე აღარ აღმოჩნდა. მათი ნაწილი დაღუპულიყო ეკლესიების გაძარცვის შედეგად, ზოგი კი — ძლიერ დაზიანებული, ფრაგმენტების სახით შემორჩენილიყო. ვ. თულაშვილმა აქ ექსპედიციის დროს გადაიღო ცალკეული ძეგლებისა და მათი დეტალების 300 — ფოტოსურათი.

მართალია, ექსპედიციამ ვერ შეძლო ზემო სვანეთის ყველა ადგილის სრული აღწერა, მაგრამ, სამაგიეროდ, მას მოჰყვა მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღონისძიება. ბ-მა გიორგიმ სათანადო ორგანოებს წარუდგინა თხსენებითი ზარათი, სადაც აღნიშნული იყო სვანეთში კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის მეტად მძიმე მდგომარეობა და დასახული იყო გზები მათი დაცვისა და გადარჩენისათვის. ეს იყო საპროგრამო დოკუმენტი, რომელშიაც გ. ჩუბინაშვილისთვის ჩვეული სიზუსტით და მიზანდასახულებით გათვალისწინებული იყო ყოველი წერილმანი. ამ დოკუმენტის საფუძველზე საქართველოს მინისტრთა საბჭომ გამოაქყო სპეციალური კომისია — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ისტორიის ინსტიტუტის წარმომადგენელთა და ადგილობრივი კულტგანყოფილებისა და განათლების განყოფილების გამგეების შემადგენლობით, რომელსაც დაეკისრა ეკლესიებისა და კერძო ოჯახებში დაცული ძეგლების შეკრება და მათი მესტიის მუზეუმში გადმოტანა.

ამ მიზნით 1948 წ. გიორგი ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელ ვ. ცინცაძესთან, და იმ დროს ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ა. რომაძისთან და იმავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელ ი. ჭყონასთან ერთად, რომელთაც ეთნოგრაფიული მასალის შეგროვება ეკისრებოდათ, მესამედ მიემგზავრება სვანეთს. კომისიას მესტიაში შეუერთდა იმ დროს მესტიის კულტ. განყოფილების გამგე ა. ვასიანი.

იმხანად მესტიის მუზეუმს მეტად მცირე ფართობი ეკავა. იგი იმ ექსპონატებსაც ვერ იტევდა, რომლებიც მას ჰქონდა. ამიტომ ადგილზე გადაწყვიდა, რომ მუზეუმში გადმოეტანათ მხოლოდ უნიკალური ნივთები და ის ძეგლები, რომლებსაც აუცილებელი დაღუპვა ელოდა ეკლესიის სინესტის გამო — ეს იყო ფერწერული ხატები და ხელნაწერები.

ექსპედიციამ მეტად მნიშვნელოვანი და რთული მუშაობა ჩაატარა. წევრებს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. უკვე ხანდაზმული ბ-ნი გიორგი დადიოდა სოფლიდან სოფელში, ესაუბრებოდა სოფლის თავაყებს, ატარებდა საუბრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, უმართავდა მათ ეკლესიებში დაცული განძეულობის მნიშვნელობასა და, მისთვის ჩვეული ტაქტით, ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ საჭირო იყო უნიკალური მნიშვნელობის ძეგლების მუზეუმში გადატანა. საქმის წარმატებას ხელს უწყობდა ბ-ნი გიორგის დამაჯერებელი ტონი, რომელშიაც ყოველთვის იგრძნობოდა დიდი სიყვარული და მზრუნველობა ქართული ხელოვნების ძეგლებისადმი და ის ავტორიტეტი, რომელიც მოიპოვა მან სვანეთში, ჯერ კიდევ პირველ

ექსპედიციაში მუშაობის დროს. უნდა ითქვას, რომ დღესაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებენ ბ-ნ გიორგის სახელს სვანეთში.

ძირითადად გიორგი ჩუბინაშვილის დამსახურება იყო ის, რომ სვანეთის ზოგიერთი ეკლესიიდან მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადმოტანილ იქნა 47 ნივთი და 21 ხელნაწერი, რომელთა შორის 16 ფერწერული ხატი, 19—X—XIII საუკუნეების ჰედური ხელოვნების ნიმუშები და 21 — სხვადასხვა დანიშნულების ნივთი იყო; ხელნაწერთა შორის კი — 897 წლის ადიშის ოთხთავი, რომელიც ქართულ დასურათებულ ხელნაწერთა პირველ ნიმუშს წარმოადგენს. ეს დიდად მნიშვნელოვანა ფაქტი იყო იმ დროს, რადგან ეკლესიიდან არა თუ წამოღება ნივთისა, ადგილზე დათვალიერების საშუალებაც კი არ ჰქონდა ზოგიერთ მკვლევარს.

გიორგი ჩუბინაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ექსპედიციაში მუშაობის დროს ფოტო — ფიქსაციას. ზოგიერთ ძეგლზე დღეს ჩვენ შეგვიძლია ვიშველოთ მხოლოდ წარსულში, ექსპედიციების დროს, გადაღებული სურათების საშუალებით, რადგან ან მთლიანადაა ძეგლი დაღუპული, ან ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. ამიტომ ამ კომისიის მუშაობის დროსაც ვ. ცინცაძის მიერ დამატებით 150 ფოტოსურათი იქნა გადაღებული.

ამავე დროს ბ-მა გიორგიმ შეაზღაურა შეამოწმა ადგილზე 1931 წელს მის მიერ აღწერილი ეკლესიების განძეულობა. გამოირკვა, რომ 19 ეკლესიის 352 ნივთიდან 60-მდე ნივთი დაკარგულიყო. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ავლენდა ძეგლთა დაცვის მძიმე პირობებს.

მივლინიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი ჩუბინაშვილმა კვლავ მოხსენებითი ბარათი წარუდგინა მთავრობას სვანეთის სიძველეთა დაცვის შესახებ, სადაც კიდევ ერთხელ დაწვრილებით იყო აღწერილი ამ დაცვის მოწყობის საკითხი. აქვე ბ-ნი გიორგი მწვავედ აყენებდა საკითხს მესტიაში მუზეუმის ახალი შენობის აშენების შესახებ, მუზეუმის მეცნიერ-მუშაკთა შტატის გადიდებისა და ადგილობრივ სამუზეუმო კადრების აღზრდის შესახებ. მაგრამ ყველა მისი მიმართვა სთანადო გამოძახილს ვერ პოულობდა. სვანეთის ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმე კვლავ მძიმე მდგომარეობაში რჩებოდა.

არსებითად უკვე პირველი მოგზაურობა დაედო საფუძვლად გიორგი ჩუბინაშვილის განსაკუთრებულ დაინტერესებას სვანეთის ჰედური ხელოვნების ნიმუშებით. მისი ინტერესი დაკავშირებული იყო ქართული ოქრომკვდლობის კვლევის საერთო პრობლემებთან.

1954 წ. გიორგი ჩუბინაშვილი კვლავ მოგზაურობს სვანეთში. ეს მოგზაურობა ძირითადად ჰედური ხელოვნების ძეგლთა მეცნიერულ კვლევას ისახავდა მიზნად. მას, თან ახლდა, იმ დროს ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი ნ. ჩუბინაშვილი, რომელმაც დამატებით გადაიღო კიდევ 220 ნივთის და 400 დეტალის ფოტოსურათი.

ამრიგად, ამ დროისათვის უკვე სვანეთის ჰედური ხელოვნების ძეგლთა დიდი რაოდენობის ფოტო-მასალა იქნა დაგროვილი.

გიორგი ჩუბინაშვილმა მონოგრაფიულად დაამუშავა სვანური ოქრომკვდლობის მნიშვნელოვანი ძეგლები. რომლებიც პირველადაა განხილული ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით. XI საუკუნის სვანეთის ბრწყინვალე

ძეგლს — მესტიის საეკრთხეველის წინამდებარე ჯვარს მკვლევარმა ცალკე შრომა უძღვნა, რომელშიაც მთელი სისრულით დავანახა, თუ რა დიდი როლი ითამაშა ამ ჯვარმა, კომპოზიციის აგების თვალსაზრისით, ამ პერიოდის სხვა საეკრთხეველის წინამდებარე ჯვრების მხატვრულ გადაწყვეტისათვის, ხოლო ცალკეული ფიგურების პლასტიკური დამუშავებით მთელი სიცხადით გამოვლინდა ეპოქის წამალოლი ტენდენცია. აქვეა ნაჩვენები, რომ მას სრული ანალოგია მოეძებნა სვანეთის ძეგლებში, რაც თავისთავად უცილობელს ყოფს მის ადგილობრივ წარმოშობას.

თავის ერთ-ერთ შრომაში — „მებრძოლის სახე XI ს. ქართულ ოქრომკედლობაში“, რომელიც ძირითადად სვანეთის ძეგლების მაგალითზე იყო აგებული, მკვლევარმა გააშუქა, როგორც ამ მებრძოლის გამოსახულების კომპოზიციური სხვადასხვაობა, ასევე მისი მხატვრული სახის მეტად მრავალფეროვანი გავება. მკვლევარმა დაადგინა, რომ ქართული ოქრომკედლობის ნიმუშებზე წმ. გიორგის ჩამოყალიბებული ტიპის უბრალო განწყობებას კი არ ვხვდებით, არამედ მის შემოქმედებით გადამუშავებას. ასევე ცალკე შესწავლის საგანი გახდა ლავურკას ეკლესიაში დაცული წმ. კვირიკეს ხატები და მასთან დაკავშირებით წმინდანის ცხოვრება. კვირიკე იმ წმინდანთა რიგს მიეკუთვნება, რომელიც ვანსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა სვანეთში, როგორც წმ. მეომრები — გიორგი და თევდორე, მთავარანგელოზები, წმ. ბარბაღე, რაც ადგილობრივ კულტთან იყო დაკავშირებული, და რაც თავს იჩენდა არა მარტო ჭედურ ხელოვნებაში, არამედ სვანეთის კედლის მხატვრობაშიც.

სვანეთში დაცული ჭედური ხელოვნების ძეგლების მეცნიერული კვლევის საფუძველზე მკვლევარმა წამოაყენა მოსაზრება ადგილობრივი სვანური საოქრომკედლო სახელოსნოს არსებობის შესახებ, რამაც ნათელი გახადა სვანეთის მოწინავე როლი საქართველოს საერთო ცხოვრებაში. გამოიჩინა, რომ შუა საუკუნეების სვანეთი მოწყვეტილი, გათიშული კი არ იყო, არამედ იგი ჩაბმული იყო ქვეყნის საერთო კულტურულ ცხოვრებაში და ცენტრალური რაიონების გვერდით მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამის ნათელი დადასტურებაა სვანეთში შემორჩენილი ჭედური ხელოვნების ნიმუშები, საკმაოდ ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონით — IX საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნემდე, ნიმუშები, რომლებშიც თავისი დროის წამყვანი პრობლემებია გადაჭრილი.

საბოლოოდ ქართული ოქრომკედლობის ხანგრძლივი კვლევის შედეგებს თავი მოეყარა გიორგი ჩუბინაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში — „ქართული ჭედური ხელოვნება“, სადაც მკვლევარმა მოგვცა ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების ის გზა, რომელიც განვლო ხელოვნების ამ მნიშვნელოვანმა დარგმა მისი ჩასახვის დღეებიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე. ამ შრომაში სვანეთში დაცული ქართული ოქრომკედლობის უმდიდრეს კოლექციას ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ნაშრომში დეტალურადაა გარჩეული X—XI საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვანი ძეგლები, რომლებიც მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი მკვლევარს, ხოლო მომდევნო პერიოდში იგი იძლევა საერთო მიმართულებას — პრობლემურ ხასიათის საკვანძო საკითხებს. ეს



არის პირველი და ერთადერთი ნაშრომი ქართული ოქრომჭედლობის ისტორიის დარგში, რომელიც იძლევა საერთო სურათს ქართული მჭედმეცნიერების განვითარებისა შუა საუკუნეების საქართველოში. მაგრამ მკვლევარმა მას უწოდა „რკვევანი ქართული შუასაუკუნეთა ხელოვნების ისტორიისათვის“, რამაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოამჟღავნა ბუნება მორიდებული, თავმდაბალი მეცნიერისა და დიდი მომთხოვნელისა საკუთარი მეცნიერული ნაშრომისადმი.

ამრიგად, გიორგი ჩუბინაშვილმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული ოქრომჭედლობის მეცნიერულ შესწავლას.

მაგრამ სევანეთი ბოლომდე დარჩა ბატონი გიორგის ფიქრისა და ზრუნვის საგანი და როდესაც 1972 წელს მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსური ექსპედიცია ჩამოყალიბდა, რომლის მზრუნველობა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმმა ითავა, მას იმედი მიეცა, რომ სევანეთის ეკლესიებში თავმოყრილ ძეგლებს ბატონი გამოუჩნდებოდა და საქართველოს მუზეუმი, რომელსაც დიდ დახმარებას უწევდა მეცნიერებათა აკადემია, სწორედ წარმართავდა დაწყებულ საქმეს და ბოლომდე მიიყვანდა მას. იგი დეტალურად გაეცნო ექსპედიციის მუშაობის გეგმას და მისთვის ჩვეული გულისხმიერებით და საქმიანი დარიგებით გზა დაულოცა მათ. ექსპედიციის დაბრუნების შემდეგ, როდესაც დაწვრილებით გამოიკითხა მან მუშაობის შედეგები, დარწმუნდა, რომ მის დიდი ხნის ოცნებას დასაბამა მიეცა.

სამწუხაროდ, გიორგი ჩუბინაშვილი ექსპედიციის მუშაობის მხოლოდ პირველ წელს მოესწრო. მაგრამ დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა მის ჩანაფიქრს ფართო გზა მიეცა.



მასალა ღიკუსნიოსათვის

ბაა პრივალოვა

ღლის წასრიგშია ქართული კედლის მხატვრობა

ის საკითხები, რომლებზედაც გვექნება საუბარი, არა ერთხელ წამოჭრილა ჩვენ წინაშე. უკანასკნელად მსჯელობა გაიშარათა ს.ჭ. სსრ მეცნ. აკად. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე. დამსწრე საზოგადოების გამოხმაურება გულმხურვალე იყო და ერთუხიანებით აღსავსე მზადყოფნა გარკვეული გზების დასახვისათვის, ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისათვის. გავიდა ხანი და დღეს, როცა ჩვენი ფერმწერი რესტავრატორები ძველებურად „ველზე“ არიან გასულნი ძეგლებზე სამუშაოდ, ჩვენ კვლავ გვინდა წამოვიწყოთ საუბარი იმაზე, თუ რა მიმართულებით და როგორ, უფრო ორგანიზებულად და ეფექტურად უნდა წარიმართოს მუშაობა კედლის მხატვრობის ჯეროვან დონეზე კონსერვაცია-ფიქსაციისათვის. ეს ამოცანა პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა და ვადაუდებელი. მის დროულსა და სწორ გადაწყვეტაზე დამოკიდებული წარსულის მონაპოვრის შთამომავლობისათვის ღირსეულად გადაცემა.

ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებმა უკვე გასული საუკუნის შუა წლებიდან მიიპყრეს მკვლევართა თუ ხელოვნების მოყვარულთა ყურადღება. ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ გრიგოლ გაგარინი საქართველოში რესტავრაციისა და კოპირების ფუძემდებლად, რადგან სწორედ მან პირველმა აწარმოა ბეთანიის ეკლესიისა და მისი ფერწერის გაწმენდა-გამაგრება და გააყეთა თამარის, მისი მამისა და ძის პორტრეტთა პირველი პირები. ეს პირები, მხატვრის სხვა ჩანახატებთან ერთად, გამოიყენა უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ. და თუმცა ჩანახატები საკმაოდ პირობითი იყო, მაინც სწორედ მათ გამოამხეურეს ძველი ქართული ხელოვნება და გაიტანეს იგი საქართველოს საზღვრებს გარეთ, ხოლო თამარის სახე გაგარინისეული ინტერპრეტაციით ამერიკიდან მრავალი მხატვრისა და პოეტის შთამავონებელი გახდა.

შემდეგ, უკვე საუკუნის დასასრულისათვის, მხატვარი ა. ეისნერი „ძველი კავკასიური მხატვრობის ნიმუშების“ შეგროვებას იწყებს. (ჩანახატები გაკეთებულია აკვარელთი, „აზომების შედეგად პროპორციების შემცირებით“; მასალა ამჟამად ინახება ლენინგრადის ეთნოგრაფიის მუზეუმში). როგორც თვით მხატვარი ამბობს, „ზოლოდ მას შეეძლო დაეხარჯა თავისი სიცოცხლის საუკეთესო ხანის, თავისი ახალგაზრდობის 20 წელი“. ვინც მიუხედავად ამ დიდ მნიშვნელობას და ფასი გაუგო ამ მამის მიეწყებულ და თითქმის გამჭრალ ხელოვნებას.²

ქართულ საზოგადოებრიობაში უკვე XX ს-ის დასაწყისისათვის შემუშავდა მყარი შეხედულება იმის შესახებ, რომ აუცილებელია ძველი მხატვრობის გადარჩენა. ამით იყო გაპირობებული ი. ჯავახიშვილის საპროგრამო მოხსენება, წარმოთქმული 1916 წელს ქართული სამხატვრო საზოგადოების გამგეობის სახელით. მოხსენება ეხებოდა ქართული კულტურის ძეგლთა



შეკრების, შესწავლისა და დაცვის საკითხებს. თვით საზოგადოება დაიარსდა 1916 წელს მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით და დაიწყო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებასთან ერთად. 1916 წ. ქართულ მხატვართა მიერ (დ. შევარდნაძე, ლ. გუდიაშვილი, მ. თოძი, მ. ჭიაურელი, გ. ერისთავი) გაკეთდა ნაბახტევის ფრესკების პირები, ხოლო უფრო გვიან ამ ძეგლის ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ფრაგმენტები გადატანილ იქნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

1917 წელს საქართველოს სამხრეთ პროვინციებში ე. თაყაიშვილის მიერ მოწყობილი ექსპედიციის წევრების — მხატვ. ლ. გუდიაშვილისა და მ. ჭიაურელის მიერ შესრულებული აქლები, ჩანახატები, ფოტოები, მულაეები ამ ჩვენთვის მიუწვდომელ ბრწყინვალე და უძველეს ძეგლთა ამსახველ უნიკალურ მასალას წარმოადგენს.

თუმცა იმ ადრეული წლების პირებს მხოლოდ პირობათად შეიძლება ვუწოდოთ ასე (ისინი ტილოზე ზეთით არიან შესრულებულნი), მაინც ეს უკვე საჩვენებლად, სადემონსტრაციოდ ვარგისი მასალა იყო, თანაც რაც შემთხვევაში ძეგლთა დაღუპვის გამო — ერთადერთი საბუთი.

ქართული კედლის მხატვრობის კოპირების შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია ლ. ა. ღურნოვის სახელთან, რომელმაც 30-იან წლებში, თავის ლენინგრადელ და თბილისელ მოწაფეებთან ერთად (ტ. შევიაკოვა, ბ. შევიაკოვი, ვ. საჩევეც-ფედოროვიჩი, შ. აბრამიშვილი და ს. მირზაშვილი), შეასრულა პირების რიგი (ლ. ღურნოვის ეკუთვნის ყინცვისის ანგელოზისა და გელათის მოზაიკების პირები, ხოლო მოწაფეთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში ამჯერად შედიოდნენ ქ. მალალაშვილი და ს. მაისაშვილი, ჩაატარა ექსპედიცია დავით-გარეჯში). სწორედ ეს ნამუშევრები დაედო საფუძვლად გ. ჩუბინაშვილის მიერ 1930 წელს გერმანიაში ექსპონირებულ გამოფენას, რომელსაც უდიდესი რეზონანსი ჰქონდა ევროპაში.

ლ. ღურნოვის მუშაობის ჩეთოდი შემდეგშ მდგომარეობდა: პირი სრულდება დაგრუნტულ ქალაღზე კომპოზიციის ძირითადი მონახაზის კალკის მეშვეობით გადატანის შემდეგ, ფერების დადების თანმიმდევრობის დაცვითა და ნახატის საბოლოო დამუშავებით მთელი მხატვრული პროცესის და შემდგომი დროის მიერ შეტანილ დანამატთა თუ ცვლილებათა გამეორების პირობით („კი არ უნდა დახატო ის, რასაც შენ ხედავ და რაც გჩვენება, არამედ ის, რაც სინამდვილეში არის“ — ტ. შევიაკოვას ჩანაწერებიდან). ამ მეთოდზე დაყრდნობით განაგრძობდნენ შემდგომში მუშაობას ლ. ღურნოვის მოწაფეები — 1929 წლიდან ტატიანა შევიაკოვა, 1932 წლიდან კი — სოფიო მირზაშვილი. საქართველოს ხელოვნებისა და ისტორიის სახელმწიფო მუზეუმების პირთა კოლექციები, რომლებიც ასეულ-კვადრატული მეტრებით განიზომება, მათი ხანგრძლივი, რთული, მძიმე და საქმისადმი უდიდესი სიყვარულით გაპირობებული შრომის შედეგია. მათ მიერვე და შემდეგ მათი და ლ. ღურნოვის მოწაფეთა მიერ (ყერძოდ ელ. მაკავარიანი) შესრულდა ქართული მინიატურების მრავალრიცხოვანი პირებიც.

ქართული კოპირების დიდი ეტაპი დაკავშირებულია 1937 წლის რუსთაველის იუბილეს მზადებასთან. ამ დროს რუსთაველის მუზეუმის მიერ ჩატარდა პოეტის ეპოქის დროინდელი მასალის მოსაპოვებელი უდიდესი მუშაობა. სწორედ ამ წლებში შეგროვდა შუა საუკუნეების საერო პორტრეტთა



დავით გარეჯა, უდაბნო, ლავრა. მოხატუ-
ლობის ფრაგმენტი (XVI ს.).

რენტგენოემისიოგრაფია შესრულებული
ა. ვილგენდორფის მიერ.

Давид Гареджа, Удабно, Лавра.
Фрагмент росписи (XVI в.).

Эмиссионграфия исполнена
И. Н. Гильгендорфом.

ის ვრცელი კოლექცია, რომელიც საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. ისტორიულ-მუზეუმის ფონდების ძირითად ნაწილს შეადგენს.

40-იან წლებშივე დაიწყო ფაქტობრივად ქართული კედლის მხატვრობის სისტემატური რესტავრაცია. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ სავალალო შემთხვევებს, როცა ძეგლის ფერწერიანი კედლები ირეცხებოდა და ცოცხით იხეხებოდა რესტავრაციის მწარმოებლის მიერ დაჭირავებული ქალების ძალებით (ზემოკრიბი), ანდა ჩამოსული სპეციალისტების მიერ იწმინდებოდა შელახული ადგილების ხანდახან ჭარბი „ტონირებით“ (ვარძიის თამარი), საქართველოს შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის გაწმენდა-გამაგრებაზე გეგმაზომიერი მუშაობის დაწყება ჩვენ შეგვიძლია დაუკავშიროთ შალვა აბრამიშვილის — მხატვრისა და დიდი პატრიოტის სახელს. მისმა დაუზარელმა, კეთილსინდისიერმა და თავდავიწყებულმა შრომამ უმძიმეს პირობებში საქართველოს მრავალი ძეგლი გადაურჩინა. დღეს ბატონ შალვას მიერ დაწყებულ საქმეს მისი მოწაფეები — კარლო ბაკურაძე და გურამ ჭეიშვილი განაგრძობენ უკვე თავის მოწაფეებთან ერთად (ლადო გურგენაძე, ამირან გოგალაძე, მერაბ ბურჯუყური). თბილისის სამხატვრო აკადემიაში 70-იან წლებში გახსნილი რესტავრაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ქმნიან ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-საწარმოო სახელოსნოს ჯგუფების შემადგენლობას, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში იღწიან ძეგლთა დაცვის მთავა-



დავით გარეჯა, უღაბნო, ღაფრა. მონასტულობის ფრაგმენტი (XVI ს.).

Давид Гареджа, Уღაბნო, ღაფრა.
Фрагмент росписи (XVI в.).



რენტევენოემისიოგრაფია შესრულებულია
ა. ვილგენდორფის მიერ.

Эмиссионграфия исполнена
И. Н. Гильгендорфом.

რი სამმართველოსა და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით.

რაც შეეხება კოპირებას, მისი თანამედროვე ეტაპი გარკვეულად დაკავშირებულია მხატვარ-რესტავრატორისა და კოპიისტის, ა. ოჭინიკოვის სახელთან, რომლის ხელმძღვანელობით ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომელთა ჯგუფის (ჯ. იოსებშიძე, მ. დიდებულიძე, ა. ოჭროპირიძე, გ. ქლენტი), საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის (ნ. კიტოვანი და თ. ვაგოშიძე) და ძეგლთა დაცვის სამმართველოს (მ. ბუჩუკური) თანამშრომელთა მონაწილეობით — დაიწყო ჩვენში კოპირების ახალი მეთოდების ათვისება. ეს ახალი მეთოდები ემყარება პრინციპებს, რომლებიც დაფუძნებულია მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა იმ მონაპოვარზე, რომლებზედაც თვალის დახუჭვა ამკამად უკვე შეუძლებელია, თუ რას უნ-

და წარმოდგენდეს თანამედროვე პირი, რა მოთხოვნები უნდა წავეყნოთ მას და რას უნდა ემსახურებოდეს იგი — ამაზე უკვე არაერთხელ იყო თქმული საკავშირო ყრილობებსა და პრესაში.

1983 წელს თბილისში ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმთან დაკავშირებით გახსნილ უალრესად საინტერესო გამოფენებთან ერთად (ეს გამოფენები ჩვენ ყველას გვახსოვს — „ქართული ისტორიული პორტრეტი“, „სუანეთის საგანძურადან“, „ქართული ნაქარგობა“) მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში მოეწყო ასეთიც — „ქართული კედლის მხატვრობა—კონსერვაცია და ფიქსაცია“. მან ჩვენი საზოგადოებისა და ჩამოსულ სტუმართა დიდი მოწონება დაიმსახურა. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი მასალა ასახავდა არა იმას, არა მინიმალურებით წარმოებს ჩვენთან შესაბამისად დარგში რეალურად, აღმოდგაქტობრივად იმას, თუ რა მიმართულებით უნდა წარ-მართოს იგი ამიერიდან — ძეგლთა თანამედროვე მდგომარეობისა და მეცნიერთა მონაპოვართა შესაბამისად...

18372

ლაპარაკი იმაზე, თუ რა რაოდენობით მოგვეპოვება კედლის მხატვრობის ძეგლები, რომელთა მნიშვნელობა აღმოსავლეთ-ქრისტიანული ხელოვნების განვითარებაში განუზომელია, სრულიად ზედმეტია. საჭიროა ლაპარაკი იმაზე, თუ რა ხდება ჩვენში ახლა და რა არის გასაკეთებელი მომავალში ამ კედლის მხატვრობის მოსავლელად, გადასარჩენად.

სამწუხაროდ, ძეგლები, რომელიც მოითხოვთ გადაუდებელ შეკეთებას, ძალიან ბევრია, ხოლო სპეციალისტ-რესტავრატორთა რაოდენობა მათთან შეფარდებით მცირერიცხოვანი. მიუხედავად ამისა, ყველა ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული იმისათვის (ამაზე შემდგომ), რათა მაქსიმალურად უზრუნველყოთ ძეგლთა კონსერვაცია, გაწმენდა, გამაგრება, რაც ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენს ამჟამად და რაც წარმოებს კიდევ ჩვენში, თუმცა არა იმ მოცულობით, რომელიც სასურველია (ამ სახის სამუშაოები ყოველი ძეგლისთვის აღბეჭდილია სპეციალურ დოკუმენტაციებში).

მაგრამ ვინაიდან ძეგლთა ნგრევის პროცესი მაინც გაგრძელდება (მისი საბოლოოდ გაჩერება შეუძლებელია), ისახება მეორე, არანაკლები მნიშვნელობის მქონე ამოცანა, რომელიც, სამწუხაროდ, ყველაზე და მთელი სერიოზულობით არ არის გაგებული. ეს გახლავთ ძეგლთა მაქსიმალურად დეტალური ფიქსაცია — აქ, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ძეგლის როგორც ფოტო, ასევე — კინო-ფიქსაცია, რომელიც, ერთი მხრივ, ემსახურება ჩვენი ქველი მხატვრობის პოპულარიზაციას, მეორე მხრივ, მისი შესწავლისა და გამოკვლევის საუკეთესო საშუალებაა. კვლევისათვის გამოსაყენებელია ფოტო — ფიქსაციის ყველა მეთოდი, სახილდო^რ. ვაკრო-გადაღება (მაკრო-ფოტოები), გადაღება ირიბი განათებით მხატვრობის ფაქტურის გამოსავლენად, გადაღება ულტრა-იისფერი და ინფრა-წითელი სხივებით და რენტგენოემისიის ხერხის გამოყენებით, რომლებიც ავლენენ მხატვრობის ტექნიკურ თავისებურებებს. ამ ახალი კვლევის ტექნიკა და მეთოდიკა შემუშავებულია და აქტიურად გამოიყენება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფიზიკურ-ქიმიური ლაბორატორიის გამგის იგორ ვილგენდორფის მიერ. სამუშაოები სახელობარ ჩატარდა ატენში, ვარძიაში, ყონცვისში, უდაბნოსა და ბერთუბანში, ალავერდიში, ბეთანიაში და სხვაგან, რის შედეგადაც შესაძლებლობა

საქ. სსრ კ. მხატვართა
წიგნიერების კავშირები



შეიქმნა გამოვლენილიყო და წაიკითხულიყო თვალისთვის უხილავი ფრესკული წარწერები და, ამგვარად, მიღებულიყო ისტორიული ხასიათის მკვლევარ ნაცემები, დაზუსტებულიყო თარიღები და ისტორიულ პირთა სახელები, დადგენილიყო გვიანდელი გადაწერის შემთხვევები, სხვადასხვა შესწორებები, ზოგ შემთხვევაში პირვანდელი საეკტორო ნახატის სრული შეცვლაც კი (თამარის პორტრეტები ვარძიასა და ბეთანიაში), გამოშლავნებულიყო და დაფიქსირებულიყო დაკარგული ფრესკული გამოსახულებები, ორფენოვანი მხატვრობის დროს მოხატულობის პირველი ფენა (უდაბნო) და მხატვრის თავდაპირველი ნახატი ფერწერის ზედაფერადოვანი ფენის ქვეშ. ასეთი სახის კომპლექსური კვლევა, მიკროსკოპის მეშვეობით დაკვირვებისა და ქიმიური ანალიზებით შემადგარებული, პირველად სწორედ საქართველოს ძეგლებზე ჩატარდა და ასე ფართოდ იგი არ მიმდინარეობს არც ერთ სხვა ქვეყანაში. (აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგები მოხსენიებული იყო იკომოსის საერთაშორისო კონფერენციებზე ვენეციაში, ზაგრებსა და ოტავაში, და ქართულ ხელოვნებისადმი მიძღვნილ ორ საერთაშორისო სიმპოზიუმზე: დახმარებისათვის ხელოვნების მუზეუმს მიმართა კიევის სოფის მუზეუმ-ნაკრძალმა და რესტავრაციის საკავშირო სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა).

ეს მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ძეგლთა ფოტო-ფიქსაციისა ფართოდ გამოიყენება მეცნიერთა კვლევის დროს. მაგრამ მას უღრესად დიდი როლი აქვს პრაქტიკულ მუშაობაშიც, კერძოდ, დღეს საკავშირო მეთოდ-საბჭოს მიერ უკვე მიღებულია დადგენილება, რომლის თანახმად ფოტო-ფიქსაციის თანამედროვე მეთოდებით ძეგლის კვლევის გარეშე აკრძალულია ძეგლზე სარესტავრაციო სამუშაოების დაწყება და წარმოება. გარდა ამისა, ასეთი კვლევის შედეგად მიღებული მასალის გარეშე ამჟამად შეუძლებელია თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მდგომი პირების გაკეთებაც.

საქართველოში კოპირების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია. აქ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ გარეგის გამოქვამული მონასტრების მოხატულობები და ზემო სვანეთის ფასადური მხატვრობა. მიუხედავად ჩვენი რესტავრატორების დაუზარელი და გულმოდგინე შრომისა, ეს მოხატულობანი გარდაუვალი და სწრაფი დაღუპვის საშიშროების წინაშე დგანან (ამ პროცესის სისწრაფის მაგალითები ჩვენ ყოველწლიურად ხელთა გვაქვს) და მათი არსებობის გახანგრძლივება ჭერჭერობით მხოლოდ პირებს ძალუძთ. სწორედ პირი, დაფუძნებული ძეგლის ზედმიწეგნით შესწავლაზე, რომელიც, გარდა ფოტო-ფიქსაციის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდისა, შლიცას ბათქაშის, პიგმენტების, შემაკავშირებლის ქიმიურ ანალიზს და მათი ფიზიკური თავისებურებების გამოკვლევას, შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი ძეგლების არსებობის გახანგრძლივების საშუალებად, ე. ი. ძეგლის ფიქსაციის ერთერთ ოპტიმალურ საშუალებად, რაც ჩვენს ამოცანას წარმოადგენს სადღეისოდ.

ამგვარად, დღევანდელი დღის პირი — ეს არ არის პირი გუშინდელი დღის გაგებით, — უაღრესად შრომატევადი და ოდნავადაც არა უაზრო, მაგრამ მაინც ორიგინალის იმიტაციის ერთგვარად შემცველი. დღევანდელი დღის პირი ეს ხარისხობრივად ახალი ცნებაა, რაც ყოველთვის განათვალისწინებულია. დღევანდელი დღის პირი ეს, ფაქტობრივად ღრმა, მეცნიერულად დასაბუთებული გამოკვლევაა. ეს არის ის, რისი დანახვაც და აღდგენაც ჩვენ ჭერ კიდევ



შეგვიძლია მეცნიერულ მონაცემებზე და არა პირად, სუბიექტურ ემოციებზე დაყრდნობით და ამიტომ თანამედროვე პირი ჩვენ გვავალდებულებს ძირეულად გადავსინჯოთ მისდამი და კოპირებისადმი არსებული მიდგომა.

გამოფენაზე წარმოდგენილი პირები და პირი-რეკონსტრუქციები აშუქებდნენ, თუ როგორ უნდა წარმოებდეს ჩვენში ძველთა ფიქსაცია ამ ყველაზე მთით ჩამოთვლილი მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, პირი-რეკონსტრუქციები, რომლებიც „ათავისუფლებენ“ მხატვრობას დროის დანაშრევისაგან — ქუჩისაგან, ჭვარტლისაგან და პიგმენტებისა და ბათქაშის ფიზიკო-ტექნიკური მეთოდებით კვლევის მონაცემების გამოყენებით არიან შესრულებულნი, — საშუალებას იძლევიან აღვადგინოთ დაკარგული ნახატი და მონახულობის თავდაპირველი ფერადოვნება, წარმოვიდგინოთ მხატვრობა პირვანდელი სახით, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების მხატვრობის განვითარების მთლიანი სურათის წარმოსაჩენად.

მაგრამ, ვინაიდან პირი-რეკონსტრუქცია წარმოადგენს ერთგვარად ორკაბა ჯოხს (палка о двух концах), რადგანაც თითქოსდა იძლევა სამუშაო პროცესის ვადვილებების და დაჩქარების შესაძლებლობას, საქმისადმი არა საკმაოდ გულდასმითი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დროს, ალბათ მიწანშეწონილია, პირველ ხანებში მაინც, ერთდროულად გაკეთდეს ორი პირი, რომელთაგან ერთი ძველის არსებული მდგომარეობის იმიტაციას მოგვეცემს, მეორე კი — მის რეკონსტრუქციას. ეს სამუშაო დროის ორმაგ დანახარჯს მოითხოვს, მაგრამ ჭერ-ჯერობით აუცილებელია, თუმცა კი პირის რაობისა და არსის დადგენა და ის, უნდა შეცვალოს თუ არა მთლიანად პირმარეკონსტრუქციამ ჩვეულებრივი, ტრადიციული პირი მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, თუ ამ უკანასკნელს წმინდა მეცნიერული ღირებულება უნდა მიეცეს — სპეციალური საუბრის თემა და დღეს მასზე არ შევჩერდებით.

კვლის მხატვრობის ფიქსაციის მესამე და ასევე უადრესად მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს კალკა და კალკა-რეკონსტრუქცია. მათი მნიშვნელობა ძალიან დიდია წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, ვინაიდან სწორედ ისინი იძლევიან მხატვრობის ზუსტ სქემას, სქემა-დოკუმენტს, რომლის შეცვლა არ შეუძლიათ არც ფოტოგრაფიას და არც ყველაზე საუკეთესო ჩანახატს, და რომელიც ფერწერული ძეგლის მიმართ იმავე როლს ასრულებს, რასაც არქიტექტურისათვის — ზუსტი ანაზომი. მეორე მხრიდან (უკუღმიდან) დაფერილები, კალკები ხსნიან ფერწერული პროცესის სასტემას ამავე დროს ამგვარი კალკების გარეშე შეუძლებელია პირის შესრულება, და არა მარტო იმიტომ, რომ საჭიროა მისი გადაყვანა დავრუნტულ ქაღალდზე, არამედ იმიტომაც, რომ კალკის შესრულების დროს მხატვარი-კოპისტი გავილის მრავალჯგუფს წვრთნას, რომლის გარეშე შეუძლებელია შუა საუკუნეების ოსტატის ხელწერის შეთვისება და გადმოცემა. იმის განსამარტავად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კალკას, მინდა გავიხსენო ჯერ კიდევ ასი წლის წინათ რიგი მეცნიერების მიერ ეისნერის მისამართით გამოთქმული საყვედური იმის გამო, რომ ქართული მონახულობების კალკებს არ აკეთებდა. ამაზე, თავის განამართლებლად ეისნერმა უპასუხა: «Это очень хорошо говорить ученым... не бывшим в тех местах, где мие приходится карабкаться прямо на четвереньках. Во-первых, для калы и всевозможных принадлежностей необходимо снарядить целую экспедицию»

и иметь большой мешок с деньгами... затем, для калки нужны леса, лестницы, для калки нужны помощники, для калки нужна каменная плита, сквозь которую можно было бы разглядеть что-нибудь... В прошлом году на всероссийском съезде зодчих проф. Прахов укорял меня, что следовало бы взять английскую калку и копировать, как это он делал в Софийском соборе. Но, во первых, он за эти калки получил около 10.000 рублей, имел у себя десять помощников, леса и копировал около 10—11 месяцев. Он копировал мозаику и выгравировывал на английской калке остреньким гвоздиком каждый камушек, затем уже расписывал лессировками все остальное изображение... и т. д.»



სვანეთი, ღამთხვერი. „ამირან დარჯანიანი“ — ფასადური მხატვრობა. ქალაქ შერსულუბულაჲ კ. გეიშვილისა და მ. ბუჩუკურის მიერ.

Сванети, с. Лаштхвер. «Амираи-Дарджаниани», фасадная роспись. Калка исполнена Г. Ченшвили и М. Бучукури

მთავარი სამეცნიერო საწარმოო სხეულისნოს წყალობით ჩვენ ახლა გვაქვს ხოლმე ხარაჩოები, ხანდახან გვაქვს ინსტიტუტის, მუზეუმისა და სამმართველოს მიერ ამ მიზნისათვის გამოყოფილი თანხებიც, ჩვენ გავგეყავს ელექტროდენი (ეისნერს უბდებოდა მუშაობა სანთლებით ან ფარნით ხელში) და ვაწყობთ ექსპედიციებს. მაგრამ ყველაფერი ეს მაინც კეთდება მხოლოდ მცირერიცხოვანი ენთუზიასტების უაღრესად დიდი დამაბვის ხარჯზე, რადგანაც ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ, თითქმის არაა კალკების უზარმაზარი, წმინდა მეცნიერული ღირებულების სრული გავება. ეს კი კარგად ესმოდათ ასი წლის წინათ, როცა გამოსცეს პომერანცევისა და სევასტიანოვის მიერ გაკეთებული პალერმოს — პალატინის კაპელის მოზაიკების უზარმაზარი ანსამბლის კალკები — დღესაც ფასდაუდებელი მასალა ამ ძეგლის საკვლევად.

ამჟამად ორი ძირითადი ამოცანა დგას ჩვენ წინაშე: ფერწერულ ძეგლთა კონსერვაცია და მათი ფიქსაცია. ორივე ამოცანა გადაუდებელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონსერვაცია ჩვენში მიმდინარეობს საკმაოდ წარმატებულად, თუმცა კი, არა იმ მასშტაბით, რაც დღევანდელ დღეს მოეთხოვება. ამის მიზეზია, პირველ რიგში, ის, რომ სათანადოდ არ არის მოწესრიგებული რესტავრატორთა მომარაგება სამუშაო მასალით, იარაღით, პიკმენტებით. ჯერაც არ დამზადებულა მათთვის მეტალოის მსუბუქი და ადვილად ასაწყობი და დასაშლელი ხარაჩო, რომელიც გაცილებით რენტგენული იქნება, ვიდრე ყოველ ახალ ძეგლზე ხის ხარაჩოს აღმართვა. ლაპარაკი კი ასეთი ხარაჩოს დამზადების აუცილებლობაზე უკვე წლების მანძილზე გრძელდება (ამ მხრივ მგვალითი უნდა ავიღოთ რუსეთის, უკრაინის,

ბალტიისპირეთის რესტავრატორთაგან, რომ ლარავერი ვიქვით იუგოსლავიისა და იტალიაზე). მეორე მიზეზი კი კვლავ კადრების უკმარისობაშია და მათი მომზადების დაბალ დონეში. ამიტომ გადაუდებლად უნდა იქნას რეორგანიზებული სასწავლო პროცესი, დაარსდეს ლაბორატორიები, წაიკითხულ იქნას ახალი კურსები, და რაც მთავარია, მოგვარდეს სტუდენტთა და ახალგაზრდა რესტავრატორ-კოპიისტთა სტაჟირების პრობლემა, თუნდაც მოსკოვ-ლენინგრადში. საქმის ამ მხარის მოგვარების გარეშე წარმატებები მუშაობაში ძნელად მოსალოდნელია.

რაც შეეხება ფერწერულ ძეგლთა ფიქსაციას, სიტუაცია აქ მთლად სავეალალოა და პრობლემა არსებითად მხოლოდ სურვილების დონეზე რჩება. აი, უკვე რამდენი წელია, ჩვენ მხოლოდ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ცალკეულ ენთუზიასტთა ყველა წამოწყება დიდად მისასალმებელია და რა თქმა უნდა, ცხოვრებაში დაუყოვნებლივ გასატარებელი. ამ მხრივ გასულ გამოფენასა და უცხოელ სპეციალისტთა აღფრთოვანებასაც კი არ მოუტანია სასურველი შედეგი. პირიქით, ადგილი აქვს გარკვეულ უკანსვლას, ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში ძლივს დაარსებული პატარა, მაგრამ მაინც ცალკე სექტორი დაიშალა; იქვე დაიხურა სპეციალურად გახსნილი ფოტო-ლაბორატორია: ი. გილგენდორფი კვლავაც რუსეთის ძეგლებზე დადიოდა სამუშაოდ (შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს); რს. რაც გაკეთდა მის მიერ აქამდე ჩვენსა, მხოლოდ მისი პირადი და თითო-ოროლა კერძო დანტერესებულ პირთა ინიციატივა იყო, თუმცა კი ახლა საბოლოოდ დაკანონებულია ამ სახის სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა რესტავრაციაში მყოფ ძეგლთათვის... ერთგან წარმოებს ძეგლთა თეორიული კვლევა, ორ სხვადასხვა ადგილას მათი ფოტოგრაფირება ფერადად და შავ-თეთრად. კიდევ სულ სხვაგან ქიმიურა ლაბორატორია, რომელიც კანტიკუნტად აკეთებს ანალიზებს ისევ და ისევ მხოლოდ დანტერესებულ კერძო პირთა თხოვნით: ზანდახან კეთდება პირები, მაგრამ არა გეგმავსომიერად, სპეციალური გადაწყვეტილებით, არამედ კვლავ მხატვართა საკუთარი ინიციატივით და ეს ასლები უფრო ხშირად ამ მხატვართა სახელოსნოებში რჩება. მოკლედ, ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ძლიერ წააგავს ცნობილ იგავს, რომელშიაც ურემი ადგილიდან არ იძვრის.



ამავე დროს, პარიზში არსებობს უზარმაზარი სასახლე — „პალე შაიო“, რომლის ვეება დარბაზებში მხო-

სვანეთი, ნესგუნი. აფხილის მონატულო-ბის (X ს.) ფრაგმენტი.

Сванети, с. Несгуни. Фрагмент росписи апсиды (X в.).



ლოდ პირებია გამოფენილი, მაგრამ არა ჩარჩოში ჩასმული კომპოზიციებისა და ფრაგმენტების სახით, არამედ კოპირებულია მთლიანად კაბელები, კომპლექსები, არსებობს ასევე ბელგრადში კედლის მხატვრობის პირების მუზეუმი, რომელიც იუგოსლავიის ფრესკების რესტავრაცია-კოპირების ცენტრს წარმოადგენს.

მტკიცება იმისა, რომ ქართულმა შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ძეგლებმა მათი რაოდენობისა და ხარისხის გამო დაიმსახურეს უფლება იმისა, რომ მათ მოსავლელად და შესასწავლად არსებობდეს სპეციალური ცენტრი, — ეგონებ ზედმეტია. ამ ცენტრში თავს მოიყრის ყველაფერი ის, რაც რეალურად არსებობს, მაგრამ ტერიტორიალური და საუწყებო ჯებირებისა და განცალკევებულობის გამო „ვერ ჩაბმულა საერთო ფერხულში“, ხატონად რომ ვთქვათ, და ყველაფერი ის, რაც ახლა კეთდება დიდი ვაჭირებით, კუსტარულად, იატაკქვეშა კი და მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთ დაწესებულებათა ხელმძღვანელების კეთილი განწყობის შედეგად, მიიღებს კანონიერ ფორმებს, აეწყობა, ამუშავდება საათის მექანიზმივით. ძნელად მისახვედრი არ არის თუ რა შედეგი მოყვება ასეთ ცენტრალიზაციას, თანების, დროის და ძალის რა ეკონომიას მოგვეცემს იგი, როგორი პროდუქციული გახდება შრომა (წარმოედგინოთ: ძეგლზე მხოლოდ ერთხელ აღდგება მსუბუქი ხარაჩო; ამის შემდეგ მუშაობას შეუდგებიან ფოტოგრაფები და ჭიმციკნები, მიმდინარეობს ძეგლის არსებული მდგომარეობის ფიქსაცია და ფერწერის კვლევა; მათ მიერ მოძიებული მასალა მიდის რესტავრატორებთან და კომისიტებთან, რომლებიც მასზე დაყრდნობით განაგრძობენ ძეგლზე „ესტაფეტას“. ამავე დროს კეთდება ძეგლის კალკები. პარალელურად მიმდინარეობს ძეგლის „დამუშავება“ ხელოვნებათმცოდნე-ისტორიკოსის მიერ. მუშაობა მთავრდება, ხარაჩო იშლება და ამ დროს ხდება ძეგლის საბოლოო გადაღება ფერად ფოტო და კინო — ფირზე. წრე შეიკრას).

ამავე ცენტრში გაერთიანდება არა მარტო სარესტავრაციო და კომისიტთა სახელისნოები, ფიზიკურ-ჭიმული და ფოტო-ლაბორატორიები. აქვე შეიკრიბება და გამოეფინება მოძიებული მასალა — კალკები, პირები, პირი-რეკონსტრუქციები. მოეწყობა ექსპოზიცია, სადაც აღბეჭდილი იქნება ყველაფერი ის, რაც კეთდება ძველი ქართული ფერწერის შენარჩუნების მიზნით. და განა დასაძინო არ არის, რომ თბილისის ორივე მუზეუმის ფონდებში, წლების განმავლობაში უადგილობის გამო პირების ასეული კვადრატული მეტრი ძველდება, შრება, იცრიცება, თვითონ სარესტავრაციო ხდება?!

ყველაფერი ეს, რაც მოგახსენეთ, არ არის უტოპია. ჩვენს ქალაქს, ჩვენს რესპუბლიკას ძალუძს გაიღოს მსხვერპლი (თუ ამას მსხვერპლი ქვია) და მოუძებნოს თავის ფრესკებს ერთი „სასახლე“, თუნდაც როსტლიმე გამოთავისუფლებული დაწესებულების ანდა ცარიელი ეკლესიის სახით. ამ „სასახლის“ მომსახურე პერსონალის შტატი არც თუ ისე დიდი იქნება.

ჩვენ ხანდახან გვავიწყდება, რომ ძველი ქართული კულტურის მონაპოვართაგან კედლის მხატვრობა ყველაზე ნაზია, ყველაზე ფაქიზი, ადვილად „ფუჭდება“, ყველაზე მოსაფრთხილებელი. ჩვენ ისედაც მეტისმეტად ბევრი დრო დავკარგეთ და თუ არ ვიჩქარეთ, მალე, შესაძლოა, რესტავრირებულ არქიტექტურის ძეგლებში შიშველი კედლები დავგვხვდეს.

¹ «Сборник византийских, грузинских и древнерусских орнаментов и архитектурных памятников». Петербург, 1897—1903 гг.

² Труды Всероссийского съезда художников. Декабрь — 1911 — январь 1912 гг. Петроград, стр. 46.

**ზაჩხაძიანის სამონასტრო კომპლექსის გუმბათიანი ტაძარი
„ყველაწმინდა“ — რესტავრაციის საპროექტი**

კრებულ „ძველის მეგობარში“ (№ 65, თბილისი, 1984; რედაქტორი — ვ. ცინცაძე) დაიბეჭდა კაცია გიორგობიანისა და თამაზ დვალის წერილი — ზაჩხაძიანის „ყველაწმინდას“ გუმბათიანი ტაძრის რესტავრაციის შესახებ (გვ. 43—52). წინასწარ აღნიშნავთ, რომ პრინციპულად არ ვეთანხმებით, უარყოფით წარმოდგენილ რესტავრაციის პროექტს, მის დასაბუთებას (უმნიშვნელო და თავისთავად ცხადი გამოხატვის გარდა) და ვეცდებით — ჩვენი მოსაზრებების დასტურად, ძირითადად, თვით ავტორების ნააზრევი მოვიშველიოთ. ამასთან ერთად განვმარტავთ მათ წერილში ნებისა თუ უნებლიეთ მოწოდებულ ზოგიერთ ცნობასაც.

1. ძველთა დაცვის მთავარმა სამმართველომ, 1978 წელს (და არა 1979 წელს, როგორც წერილშია აღნიშნული), ჩვენ დაგვავალა შეგვესწავლა ზაჩხაძიანის სამონასტრო კომპლექსის გუმბათიანი ტაძარი „ყველაწმინდა“ და შეგვესრულებინა მისი რესტავრაციის პროექტი. სამუშაოდ მოვიწვიეთ ინჟინერ-კონსტრუქტორი ნ. მესხი; წინასწარი სამუშაოები იმავე წელს დაიწყო.

2. უშუალოდ ძველზე მუშაობას 1979 წლიდან შევუდექით; ამიტომ, კ. გიორგობიანი და თ. დვალი მოვიწვიეთ იმავე 1979 წელს — მხოლოდ ძველის ასაზომად, რადგან, როგორც ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოს „ძველთა რესტავრაციისა და ადაპტაციის სამმართველოს“ უფროსმა იმეამად, დაუტყობრთავი თანამშრომლები ამ საქმისთვის ვერ შევარჩიეთ.

3. თ. დვალმა, ძველის რესტავრაციის პროექტზე ჩვენთან ერთად (მისივე თხოვნით გაფაფორმეთ თანაავტორად) იმუშავა 1982 წლის 13 აგვისტომდე, შემდეგ კი, როგორც მისი წერილიდან გაირკვა, კ. გიორგობიანთან ერთად (ხელმძღვანელს არ ასახელებენ) გაუგრძელებია ძველის შესწავლა და რესტავრაციის პროექტის შედგენა-დასაბუთებაც.

თ. დვალმა, ჯერ კიდევ 1981 წელს შეასრულა ჩვენგან, როგორც პროექტის ავტორისაგან, დამოუკიდებლად, ჩვენთან შეუთანხმებლად — „დასავლეთი კარიბჭის აღდგენის პროექტი“, რომელიც ტელევიზიითაც კი იყო დემონსტრირებული (ცხადია — არც ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს ვანუხილავს იგი და არც ოფიციალური რეცენზენტი ყოფილა ვინმე!). ვფიქრობთ, სწორედ ამ პროექტის შემადგენელი 45-ე გვერდზე წარმოდგენილი — „ტაძრის აქსონომეტრიული ნახაზი“, რადგან კარიბჭის გადახურვა აქ, პრინციპულად განსხვავდება მათივე პროექტში წარმოდგენილი ახალი ვარიანტისაგან (იხ. „გრძივი კვეთი კარიბჭეზე, ხედი ჩრდილოეთისაკენ, გვ. 47) რაც იმის მარჯვენაა, რომ თვითვე უარყვეს აღრინდელი — უსაფუძვლო და ნაჩქარევი მოსაზრება გადაეხურათ კარიბჭე თითქმის ნახევარწრიული გუმბათით (გაუგებარია — რატომ გამოიყენეს ძველი ნახაზი ახალი ვარიანტის საილუსტრაციოდ?).

4. ჩვენ მიერ შესრულებული „რესტავრაციის ესკიზური პროექტი“, პროფ. ლ. რჩეულიშვილის დადებითი რეცენზიის შემდეგ, 1983 წელს, სამჯერ განიხილა სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ — თბილისში და ორჯერ თვით



ქველზე (პროექტი კვლავ შეიძლება განვიხილოთ, რადგან „კვანძის“ ლაწმინდა“ „გარდამავალი ხანის“ უმნიშვნელოვანესი ძეგლია და განსაკუთრებულ სიფრთხილეს გვაქვს). საბჭომ დამაჯერებლად სცნო ჩვენი პროექტის დასაბუთება და, თან, დაადგინა — კვლავ საგანგებოდ გვემსჯელა უმნიშვნელოვანესი კვანძების აღდგენამდე.

ამის შემდეგ, 1983 წელს ქართული ზელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე წასაკითხად წარედგინეთ მოხსენება — Вопросы реставрации купольного храма Квела-Цминда Вачнадзინанского монастыря. პასუხისმგებელი რედაქტორი გახლდათ აკად. ვ. ბერიძე. მოხსენება წაკითხულ იქნა VI სექციაში — „ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საკითხები“, რომელსაც უძღვებოდა პროფ. ი. ციციშვილი, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი; მისი შეფასებაც დადებითი იყო.

კ. გიორგობიანი და თ. დვალის მიერ შესრულებული რესტავრაციის პროექტის არსებობა კი მხოლოდ „ძეგლის მეგობარში“ გამოქვეყნებული წერილით შეეიტყვეთ. პროექტი, ისევე როგორც ადრინდელი მოსახრება ტაძრის დასავლეთი კარიბჭის აღდგენისა, გამოქვეყნდა სათანადო განხილვისა და რეცენზირების გარეშე.

5. კ. გიორგობიანისა და თ. დვალის წერილის პასუხად, ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ, 1985 წლის თებერვალში, შექმნა საგანგებო კომისია ზელოვნებათმცოდნე-რესტავრატორების (რ. გვერდწითელი, ლ. რჩეულიშვილი და მ. დვალი) შემადგენლობით, რომელსაც დაეველა — განვიხილა რესტავრაციის ორივე პროექტი და გარკვეულიყო მათ საფუძვლიანობაში. ჩვენი გამოკვლევის შედეგები და, შესაბამისად, რესტავრაციის პროექტის დასაბუთება, კომისიამ დამაჯერებლად სცნო.

ამ უსიამოვნო, მაგრამ აუცილებელი განმარტების შემდეგ, განვიხილოთ კ. გიორგობიანისა და თ. დვალის წერილი და ვნახოთ, რას გვთავაზობენ ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის სარესტავრაციოდ.

საკითხებს განვიხილავთ წერილში დაცული თანამიმდევრობით.

1. „უკვე განხორციელებული სამუშაოებიდან უნდა აღინიშნოს გუმბათის სარესტავრაციო ღონისძიებები: გუმბათზე მოიხსნა ძლიერ დაზიანებული აგურის გვიანი გადახურვა; ოციანი წლების ფოტომასალის შესწავლისა და გუმბათის პროპორციული ანალიზის საფუძველზე განესაზღვრეთ გუმბათზე ლავგარდანის დონე“ (გვ. 46, აბზ. 4); შემდეგ — „ლავგარდანის შესაბამის დონეზე დაწყობის შემდეგ აღდგენილ იქნა გუმბათის სახურავიც, მოხსნამდე არსებული სახურავის შესაბამისი ქანობით“ (გვ. 46, აბზ. 5).

1. მართალია, რომ მოიხსნა გუმბათის გვიანდელი აგურის კარავი, მაგრამ უფრო იმითომ, რომ მასიურია, მძიმე იყო. იგი არ იყო ისე დაზიანებული, რომ ვერ შეგვეცეთებინა.

2. გუმბათზე ლავგარდანის ქვედა დონის დაზუსტება, ძირითადად, არსებული კვლით, ძველი ანაზომებითა და ფოტოებით მოხერხდა, რასაც ნაკლებად სჭირდებოდა „გუმბათის პროპორციული ანალიზი.“

3. თუ ლავგარდანის დონე არსებული ფოტომასალის შესწავლისა და გუმბათის პროპორციული ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა, რატომ იქნა აღდგენილი გუმბათის სახურავი „მოხსნამდე არსებული სახურავის შესაბამისი ქანობით.“?



საქმე იმაშია, რომ ტაძრის კონსტრუქციული გამაგრება და აღდგენა გუმბათიდან დაიწყეთ, ხოლო თ. დვალი, როგორც პროექტის ავტორი, მხოლოდ გუმბათის ყელის რესტავრაციაში მონაწილეობდა. ამიტომ მან აღარ იცინა, რომ გუმბათის პროპორციათა ანალიზი, ძირითადად, გუმბათის კარვის ქანობის დასადგენად გახდა აუცილებელი. მხოლოდ ამას შემდეგ აღმოჩნდა, რომ XV ს. აგურის კარავიც თავდაპირველის მსგავსი ქანობით ყოფილა აგებული (აქვე აღვნიშნავთ — შესაძლოა უმნიშვნელო გაუგებრობად გვეჩვენოს, მაგრამ „ტაძრის აქსონომეტრიულ ნახაზზე“, გვ. 49, გუმბათის ყელს, და, შესაბამისად, კარავსაც, თექვსმეტი წახნაგი აქვს თორმეტის ნაცვლად. სამწუხაროა, რომ არაფერს ვეამცნობენ ამის შესახებ — მათ ხომ ყველაზე მეტი ტაძრის გუმბათის ყელზე აქვთ ნაფიქრო).

4. ამავე მიზეზითაა, მათთვის, განსაკუთრებით აღსანიშნავი მხოლოდ „გუმბათის სარესტავრაციო ღონისძიებები“, თუმცა ძეგლზე სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი სამუშაოც ჩატარდა — დასავლეთის კედელი, რომელიც ძლიერ იყო გადახრილი დასავლეთისაკენ, საკუთარი სიმძიმით, ყოველგვარი ტექნიკის გამოყენების გარეშე გავასწორეთ; ჩამოვშალეთ და აღვადგინეთ, მთელ სიმაღლეზე, მთავარი ეკლესიის სამხრეთი მკლავის დასავლეთი ნაწილი, სადაც კარი, პატრონიკეს ღიობი და მკლავის დასავლეთი სარკმელია განთავსებული და სხვა.

II. „ეკლესიის ტრიკონქების (საეკლესიო გვერდითა სათავსები) შესწავლის შემდეგ მათი თავდაპირველი ფორმების აღდგენის საკითხი დაისვა, რადგან ამჟამად ტრიკონქების გვერდითი აფსიდები ამოქოლილია, ხოლო ცენტრალური ნაწილები კი ბრტყელადაა გადახურული.

ჩრდილოეთ სათავსის ბრტყელი გადახურვის ზონდაყით ვახსნის შემდეგად, გადახურვის სისქეში აღმოჩნდა ნალესობით დაფარული გუმბათის ყელის ნაწილი, რომელიც ამ გადახურვის ზემოთაც გრძელდებოდა: და თავდაპირველი გადახურვის, მრუდხაზოვან მოხაზულობაში გადადიოდა“ (გვ. 46, აბზ. 7, 8), (სქოლიოში განმარტებაა—„აღსანიშნავია, რომ ამ გადახურვას სავსებით წესიერი ნახევარსფეროს ფორმა არა აქვს“. გვ. 52, სქ. 2). შემდეგ — „გარდა ამისა, სამხრეთის ტრიკონქის ბრტყელი გადახურვის ზემოთ, მეორე სართულის იატაკის ნანგრევებისაგან გაწმენდის შემდეგ, აღმოჩნდა გუმბათოვანი კამარის ყელის აგურის წყობის რამდენიმე რიგი, რომლის შიგა პირი, ბრტყელი გადახურვის ზემოთ ნალესობით იყო დაფარული“.

ამ გამოვლენილმა მაასალამ საფუძველი მოგვცა დაგვედგინა, რომ ტრიკონქების ცენტრალური ნაწილები დადაბლებული პროპორციების არაწესიერი ფორმის გუმბათოვანი კამარებით იყო დაგვირგვინებული.

ამ სათავსების სარესტავრაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა ბრტყელ-გადახურვების შენარჩუნება, რაც როგორც ძეგლის გარკვეული პერიოდის სამშენებლო ფენისა, რომელსაც გარდა ისტორიულია კონსტრუქციული ღირებულება გააჩნია“ (გვ. 46, აბზ. 7, 8, გვ. 49, აბზ. 1, 2).

1. ჩვენ, სამკვეთლოს ბრტყელი გადახურვის ზონდაყით კი არ ეპოვეთ ნალესობით დაფარული გუმბათის ყელი, არამედ — ზონდაყი გაეკეთეთ იქ, სადაც გუმბათის ყელის შელესილი ნაწილი შედის დამრეცი პლაფონ-



ნის სისქეში (იხ. ჩვენთან — სურ. 1. სამკვეთლოს ბრტყელი გუნდებისა და გუმბათის ყელის შელესილი ნაწილი). მთავარი კი, რისთვისაც გავხსენით ამ პლაფონის მკირე ნაწილი ზონდავით, ის ვახლდათ, რომ ძეგლის, კერძოდ პასტოფორიუმების კომპოზიციის — გეგმარებისა და ტექტონიკის ანალიზმა, ავად. გ. ჩუბინაშვილის ძალზე საინტერესო მოსაზრების კრიტიკულმა შეფასებამ, სამხრეთი პატრონიკეს თავზე (მე-2 სართულზე) შემორჩენილმა კვალმა, დულაბის ბრტყელი გადახურვების მდებარეობამ და სხვა და სხვა — გვეყარაუდებინა, რომ თავდაპირველად, პასტოფორიუმები გუმბათებით იყო გადახურული, რაც დადასტურდა კიდევ (ამავე აზრის იყო არქ. გ. ლუევაძე).

2. რაც შეეხება ავტორების დასკვნას, რომ „ამ (გუმბათოვან — ნ. ა.) გადახურვას სავსებით წესიერი ნახევარსფეროს ფორმა არა აქვს — ნაჩქარევი, რადგან გუმბათის ფორმის დადგენა მხოლოდ სრული გაზნის შემდეგ იქნება შესაძლებელი. მოსაზრების სახით კი შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ ეს ტაძარი იმდენად „წესიერია“ ყოველმხრივ, რომ შეუძლებელია, მით უმეტეს პასტოფორიუმებში, „არაწესიერი“ ფორმის რაიმე ელემენტის არსებობა.

3. მას შემდეგ, რაც გამოვლენილმა მასალამ საფუძველი მისცა ავტორებს დადგინათ, რომ „ტრიკონების ცენტრალური ნაწილები დადაბლებული პროპორციების არაწესიერი ფორმის (თუგინდ ასეც იყოს! — ნ. ა.) გუმბათოვანი კამარებით იყო დაგვირგვინებული“, სრულიად გაუგებარია „ამ სათავსების სარესტავრაციო ღონისძიებებთან“ დაკავშირებული გადაწყვეტილება — „საჭიროა ბრტყელ-გადახურვების შენარჩუნება, როგორც ძეგლის გარკვეული პერიოდის სამშენებლო ფენისა, რომელსაც გარდა ისტორიულისა კონსტრუქციული ღირებულება გააჩნია.“

ა) ძეგლის რესტავრაციისას, შემდეგი დროის სამშენებლო ფენას ვინარჩუნებთ მაშინ, როდესაც იგი თავისი დროის დამახასიათებელ მხატვრულ ფორმას ან კონსტრუქციას წარმოადგენს და ურომლისოდაც ბევრი დააკლდება იმ დროის ხუროთმოძღვრების შესწავლა-წარმოჩენას. ან — არ ვიცი თ ალადგენი ნაწილის თავდაპირველი ფორმა, კომპოზიცია და გვიანდელის მოხსნა მხოლოდ გაუგებრობას გამოიწვევს. ეს პლაფონები კი — არატიპურია არა მარტო ამ ხანის, არამედ, საერთოდ, ქართული საეკლტო ხუროთმოძღვრებისათვის და მხოლოდ ამახიჩვებენ ტაძრის ამ მნიშვნელოვან, კომპოზიციურად საინტერესო სათავსებს.

ბ) რაც შეეხება, ამ, დულაბის, ბრტყელი გადახურვების „კონსტრუქციულ ღირებულებას“ — სრული გაურკვევლობაა, რადგან ისინი ტრომპებს კი არ ეყრდნობა, არამედ, სხვადასხვა დონეზეა „შედგმული“ გუმბათის ყელში და ააოცარია, რომ დღემდე შემორჩენენ ადგილზე (იხ. ჩვენთან — სურ. 1 და სურ. 2. სადაიკვნეს ბრტყელი გადახურვა). როგორც ჩანს, მშენებელი-შემკეთებელი იმთავითვე გრძნობდა დულაბის ბრტყელი გადახურვების მდებარეობით, სიმძიმითა და წარმოქმნილი გამბჯენი ძალების ზემოქმედებით მოსალოდნელ შედეგს — გუმბათის ყელის ვახსნას და იქვე, ამის თავიდან ასაცილებლად, ავსებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის აბსიდებს. სხვა მოსაზრებით ამის გავეთება წარმოუდგენელია, რადგან პრინციპულად შეიცვალა სათავსების კომპოზიცია, ხოლო სხვა საჭიროება ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილის გამაგრებისა



სურ. 1. სამცხეთლოს ბრტყელი გადახურვა და გუმბათის ეელის შელესილი ნაწილი.

Плоское перекрытие жертвенника и оштукатуренная часть барабана купола.

სურ. 2. სადიაკვნის ბრტყელი გადახურვა.

Плоское перекрытие дьяконника.





არ არსებობდა — მხოლოდ იგი შემორჩა დღემდე თავდაპირველი სახითაა ყოველგვარი დეფორმაციის გარეშე.

4. ავტორები აღარაფერს გვამცნობენ ტრიკონქების, ამ, შევსებული (მათთან — „ამოქოლილი“) ჩრდილოეთისა და სამხრეთის აბსიდების ბედზე; როგორც ჩანს, მათი შენარჩუნებაც მიზანშეწონილად მიაჩნიათ.

III. „სამხრეთის სათავის დასავლეთ კედლის ჩრდილოეთის კედში მკაფიოდ იკითხება აგურითა და რიყის ქვით ნაწყობი (დაახლოებით 60 სმ-ის) შევული მონაკვეთი, რომელიც იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე იწყება და ჭვაროვანი კამარის ქუსლამდეა აყვანილი, გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს: «Возможно здесь одно предположение, а именно, что за этой отделенной кладкой, где перемешаны булыжники с кирпичом, скрыта аналогичная лестница на хорах, такая указана при описании северного нефа».

ზემოაღნიშნული კედლის ზემოთ, იატაკის გახსნილას, აღმოჩნდა ბათქაშით დაფარული კედლის მცირე მონაკვეთი, რომელიც ყველა მონაკვეთის საფუძველზე კედლის სისქეში მოწყობილი კიბის უჯრედის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

სათანადო გაზომვებისა და გრაფიკული ანალიზის შემდეგ შენობის ამ ნაწილში უდავო ვახდა კიბის არსებობის შესაძლებლობა, რაც საუბრებით ემთხვევა გ. ჩუბინაშვილის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას“ (გვ. 49, აბზ. 3, 4; გვ. 50, აბზ. 1, 2).

1. ეს კიბის უჯრედი (არადა — ხერელია ხოა კიბის შესადგმელად!) ყოფილა „სამხრეთი სათავის დასავლეთ კედლის ჩრდილოეთის კედში“. მთავარი ნაღის სამხრეთით, მინაშენში, რამდენიმე სათავსია; რომელში ვეძებოთ ეს ღიობი?

2. „...მკაფიოდ იკითხება აგურითა და რიყის ქვით ნაწყობი (დაახლოებით 60 სმ-ის) შევული მონაკვეთი, რომელიც იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე იწყება და ჭვაროვანი კამარის ქუსლამდეა აყვანილი.“ ე. ი., ამ სათავის სიმაღლე, ჭვარული კამარის ქუსლამდე, დაახლოებით, 1 მეტრი და 60 სანტიმეტრია. ნუთუ ასეთია ხუროთმოძღვრის მიერ შექმნილი ახილული პროპორციები, რომლითაც ცნობილია ტაძარი „ყველაწმინდა“?

3. „სათანადო გაზომვებისა და გრაფიკული ანალიზის შემდეგ, შენობის ამ ნაწილში უდავო ვახდა კიბის არსებობის შესაძლებლობა.“

ა) გრაფიკული ანალიზი, ყველაზე ნაკლებად ამ ნაწილს სჭირდებოდა, რადგან შემორჩენილია ყველა კვალი — ვიცი თ სად იწყება, სად მთავრდება და რა სიგანისაა ეს ხერელი — ღიობი.

ბ) „...უდავო ვახდა კიბის არსებობის შესაძლებლობა“ წერენ. თუ კიბის არსებობა აქ უდავოა, მაშინ მისი „უდავო არსებობის შესაძლებლობა“, სულ ცოტა, უხერხულ გამოთქმად გვეჩვენება.

4. გ. ჩუბინაშვილი წერილში მხოლოდ ამ შემთხვევაშია დამოწმებული. ალბათ იმიტომ, რომ ნაგებობის სხვა, ბევრად უფრო დაზიანებულ და გადაკეთებულ ნაწილებზე მისი მსჯელობა, რომელსაც პრინციპულად არაფერი აქვს საერთო კ. გიორგობიანიასა და თ. დვალის ნაზრევთან, გაუგებარი დარჩა; ამ ვარაუდის უფლებას მათი პროექტის დასაბუთება გვაძლევს.

IV. „ჩრდილოეთ პატრონიკეს ცენტრალური ნაწილის დათვალიერებისას მის გარე კედელში სარკმლის არსებობის საკითხი დაისვა, რადგან სარკმლის

შესაძლებელი მდებარეობის ადგილზე კედელი გარღვეულა იყო და სარკმლის ხერხობის კვალი არ ჩანდა.

პროექტზე მუშაობის დროს ჩვენ ვცადეთ კედლის გარღვეულ ადგილში სარკმლის მოთავსება, მაგრამ ამ ნაწილის სივიწროვის გამო სარკმლის არსებობა აქ საეჭვო შეიქმნა. ყოველ შემთხვევაში, კედლის ამ ნაწილში სარკმლის არსებობა შეიძლება არ გამოვიციხოთ, თუ შესაძლებლად მივიჩნევთ, რომ იგი სამხრეთის პატრონიკის სარკმლისაგან განსხვავებით, სადგომის იატაკიდან იწყებოდა და ძეგლის სარკმლებიდან ყველაზე მცირე ზომისა იქნებოდა, რაც ნაკლებ საეარაუდოა“ (გვ. 50, აზხ. 3, 4).

1. დავუშვათ, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის დასმა ავტორებმა დათვალეობისას (და არა ტაძრის სრული შესწავლის შემდეგ) მოახერხეს. მთავარი ის გახლავთ, რომ სარკმლის არსებობის საკითხი, აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ უკვე დასმული იყო და სათანადოდ განმარტებულიც (მართალია — ზოგადად, თეორიულად).

2. უმართებულოა, რომ სცადო კედლის ამ გარღვეულ ნაწილში სამხრეთი პატრონიკის მსგავსი სარკმლის მექანიკურად მოთავსება. პირიქით — როდესაც გაიანზრებ ხუროთმოძღვრის მიერ ასე ოსტატურად ხორციელ! ხმულ სისტემას განათებისა, რამოდენაც არ უნდა იყოს გამოწვრევა, სამხრეთი პატრონიკის სარკმლის ტოლსა და მსგავსს, აქ, ჩრდილოეთიდან, ვერ წარმოიდგენ.


3. არც აკად. გ. ჩუბინაშვილს, არც მ. კალაშნიკოვსა და გ. ლევაევას, ჩრდილოეთი პატრონიკის სარკმლის გრაფიკული აღდგენა არ უეცდიათ. მაშ რომელი, ვის მიერ აღდგენილი სარკმლის არსებობაა მათთვის ნაკლებ საეარაუდო? თუმც არ მოგვიხსენიეს, მთელი წერილი მიეძღვნა ჩვენი რესტავრაციის პროექტის უარყოფას, რომელიც ჩრდილოეთი პატრონიკის სარკმლის აღდგენასაც ითვალისწინებს. აქვე მოგახსენებთ — კ. გიორგობიანი და თ. დვალი ჩვენი რესტავრაციის პროექტსა და მის დასაბუთებებს მხოლოდ სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებით გაეცნენ (მოხსენება, სხვათა მსგავსად, დაიბეჭდა გასაერთილებლად): ამიტომ, მათი წერილი ჩვენი მოხსენების ქარგაზეა აგებული (აკლია მხოლოდ მოპოვებული ახალი მასალის შესწავლის შედეგები) და, ვიმეორებთ, ერთ მიზანს ისახავს მხოლოდ — უარყოს ის რაც ჩვენთან არის დასაბუთებული.

4. ჩვენ მიერ აღდგენილი სარკმელი, თურმე, „ძეგლის სარკმლებიდან ყველაზე მცირე ზომისა...“ ყოფილა. ტაძარს, ამ ზომის სარკმელი კიდევ ორი აქვს — დასავლეთი გარშემოსავლელის დასავლეთის ფასაღზე, კიდევში; პასტოფორთუმების სარკმლები კი — მასზე ბევრად მცირეა.

V. „ამაჰამდ კარიბჭის გადახურვისაგან მხოლოდ ოთხი კუთხის ტრომპის კვალიღა შემორჩენილი. შენობის ამ ნაწილის დეტალური შესწავლის შედეგად მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვეცა: კერძოდ ის, რომ კარიბჭე დადაბლებული პროპორციების, უყველი გუმბათოვანი კამარით იყო გადახურული“ (სქოლიოში განმარტებაა — „არ არის გამოვიციხული ისიც, რომ ხუროთმოძღვრის კარიბჭის გადახურავად გუმბათოვანი კამარის ნაცვლად შეკრული კამარაც გამოეყენებინა იმგვარადვე, როგორც მაგალითად გურჯაანის ორგუმბათიანი ტაძრის ჩრდ. აღმ. კუთხის სადგომია.“ გვ. 52, სქლ. 4). „ამ მოსაზრების რეალური საფუძველი შეგვექმნა კარიბჭის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტრომპის თავზე კედლის გახსნის შემდეგ (იხ. „ტრო-

სურ. 3. დასავლეთ პატრონიკეს გეგმა —
თ. დვალისა და კ. გიორგობიანის ნა-
ხაზი.

План западных хор — чертеж
Т. Двали и К. Гиоргобiani.



მზის კვალი შუა ნავის დას. კედელზე.“ გვ. 44). გვიანდელი, ნატეხი აგურით ნაწყობი ფენის მოხსნისას (მაქსიმალური სისქე 9—10 სმ-ია) გამოჩნდა შენობის თავდაპირველი შრე, რომელშიაც აგურისა და რიყის ქვების თავისებური განლაგება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ადგილას მრუდხაზოვანი გადახურვის ქუსლი უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს მხარს უმაგრებს ის გარემოებაც, რომ კედლის გახსნის შედეგად სავსებით გამოირიცხა კარიბჭის ქვის ფილებით გადახურვის შესაძლებლობა, რადგან ასეთი გადახურვის არსებობის შემთხვევაში, კედლის თავდაპირველ, ხელშეუხებელ ფენაში გადახურვის ქვის ფილების კვალი აუცილებლად დარჩებოდა. გარდა ამისა, საქართველოს ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის, ტრომპებზე დამყარებული მსგავსი გადახურვის არცერთი მაგალითი არ მოგვეპოვება“ (გვ. 50, აბზ. 7).

1. კედელი ჩრდილო-აღმოსავლეთის ტრომპის თავზე კი არ არის გახსნილი, არამედ — ტრომპის დონეზე. „გვიანდელი, ნატეხი აგურით ნაწყობი ფენის მოხსნისას (მაქსიმალური სისქე 9-10 სმ-ია) გამოჩნდა შენობის თავდაპირველი შრე, რომელშიაც აგურისა და რიყის ქვების თავისებური განლაგება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ადგილას მრუდხაზოვანი გადახურვის ქუსლი“... კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ — ტრომპი (ეს კი ისედაც ნათელია), რომლის ჩამოშლის შემდეგ შეავსეს ეს ადგილი. (საინტერესოა, რომ ამ ფოტოს, გვ. 44, ანოტაცია სწორად აქვს გაკეთებული — „ტრომპების კვალი შუა ნავის დას. კედელზე“ და არა—„მრუდხაზოვანი გადახურვის ქუსლის კვალი შუა ნავის დას. კედელზე“). დადაბლებული პროპორციების უყველო გუმბათოვანი კამარის ქუსლი კი, კედლის ამ ნაწილამდე ვერ მისწვდებოდა; მით უმეტეს — ვერ შეაღწევდა კედელში 9—10 სმ-ის სიღრმეზე, რადგან ეს გუმბათი, ისევე როგორც ყველა მრუდხაზოვანი გადახურვა ტაძრისა, აგურის ერთი რიგით უნდა ყოფილიყო ნაგები; ასეა მათ ნახაზებზეც (იხ. ჩვენთან. სურ. 4. „დასავლეთი პატრონიკეს ცენტრალური ნაწილის გეგმა“, რომელიც მათი წერილის 47-ე გვერდზე მოთავსებული ნახაზის პირია, ჩვენ მიერ დამატებული, პუნქტით ნაჩვენები გუმბათოვანი კამარის სავარაუდო სისქით; ისარი უჩვენებს მათ ფოტოზე, გვ. 44, აღბეჭდილი ზონდაყის მდებარეობას).

გარდა ამისა, ტრომპების (მეორე თალის) უმაღლესი წერტილი თითქმის პატრონიკეს ღობთან ქვედა დონემდე აღწევს; შესაბამისად — გუმბათოვანი



კამარის ქულის კვალიც მის ზემოთ უნდა აღმოჩენილიყო; ე. ი. იქ, სადაც კედელი აღარაა გახსნილი, რადგან — თავდაპირველია (იხ. „ტრომპების ზედა ნაწილის დას. კედელზე“, გვ. 44). თუ მინცდამინც, სადმე შეიძლებოდა შემორჩენილიყო გუმბათის ქულის კვალი — მხოლოდ პატრონიკეს ზედა ლიობის წირთხლების დასაველეთის წიბოთა ქვედა ნაწილებში, ლიობის ქვედა დონეზე; კედელი აქაც თავდაპირველია (იხ. ჩვენთან სურ. 4 და მათი — „ტრომპების კვალი ზედა ნაწილის დას. კედელზე.“ გვ. 44).

ამდენად — გუმბათოვანი გადახურვის არსებობა ამჯერადაც გამოირიცხა.

2. ის, რომ „კედლის თავდაპირველ, ხელუხლებელ ფენაში გადახურვის ქვის ფილების კვალი აუცილებლად დარჩებოდა“, მათ ვარაუდს კი არ უმაგრებს მხარს და სავსებით კი არ გამოირიცხა კარიბჭის ქვის ფილებით გადახურვის შესაძლებლობა“ (ტუქსტის მიყვებოდით), არამედ, პირიქით — მხოლოდ ქვის ბრტყელი და სწორკვერდა ფილები არ საჭიროებენ კედელთან კონსტრუქციულ კავშირს, დაიწყობიან ტრომპებზე ამ კედლის გასწვრივ და მიბჯენით. ამიტომაც არ შემორჩა ტაძრის დასაველეთის, თავდაპირველ კედელს არავითარი კვალი მათი არსებობისა.

3. სრულიად გაუგებარი კი შემდეგია — თუ ქვის ბრტყელი ფილებით გადახურვის კვალს იმ დონეზე ვარაუდობენ, სადაც კედელი თავდაპირველი და ხელუხლებელია, როგორღა ასაბუთებენ გუმბათოვანი კამარის ქულის არსებობას სხვაგან, ამ შემთხვევაში უფრო ქვევით? განა ერთ დონეზე არ უნდა აღმოჩნდეს ნებისმიერი გადახურვის კვალი, რადგან ისინი, აუცილებლად, ტრომპებს ეყრდნობოდნენ?


4. ის, რომ „საქართველოს ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის ტრომპებზე დამყარებული მსგავსი გადახურვის არცერთი მგავალითი არ მოგვეპოვება“, სრულიად არ გამოირიცხავს მის არსებობას გარდამავალ, ძიებებით აღსავსე ხანაში, რომლის ერთ-ერთი უბრწყინვალესი და სრულიად ორიგინალური ნაგებობაა „ყველაწმინდა“. განა არსებობს ჩვენი ტაძრის დასაველეთი პატრონიკეს მსგავსი სათავისი (აბსიდიით დასაველეთიდან), რომლის არსებობაში თვით არ ეპარებათ ეჭვი? ან — სხვა ორგუმბათოვანი ტაძარი, გარდა გურჯაანის „ყველაწმინდისა?“ და სხვა და სხვა.

ვფიქრობთ, სწორედ კარიბჭის მიბაძვით გადაიხურა მონასტრის ბიბლიოთეკაც — ტრომპებზე დაყრდნობილი „გვირგვინით.“

VI. „ამასთანავე მშენებელმა მეტად გააზრებულად გამოიყენა ტრომპების კონსტრუქციული შესაძლებლობა და ორმაგი თაღის გამოყენებით, გუმბათქვეშა სწორკუთხედზე (3.8X3.6) თითქმის თანაბარკვერდებიანი რვაკუთხედი შექმნა“ (გვ. 51. აბზ. 1).

1. კარიბჭის თავზე გადასახური ლიობი, რომლის კუთხეებშიც ტრომპებია ორმაგი თაღით, სწორკუთხედი კი არა — ტრაპეციაა, რომლის სიგრძე, აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, 25—30 სმ-ით მეტია საშუალოს სიგანეზე, ხოლო აღმოსავლეთის გვერდი — 20 სმ-ით მეტი დასაველეთზე.

2. ტრომპი, რამდენი თაღიც არ უნდა ჰქონდეს მას, იმის გამო, რომ კუთხის ღერძზეა ყოველთვის განთავსებული, სწორკუთხედს ვერასოდეს გადააქცევს თითქმის თანაბარკვერდებიან რვაკუთხედად — ვვერდებს შორის არსებული განსხვავება ყოველთვის უცვლელი დარჩება. (იხ. ჩვენთან სურ. 3).



სურ. 4. მეორე სართულის გეგმარესტავრაცია.

План II этажа — реставрация.

VII. „...ჩვენს წინაშე ისმის კითხვა: ხომ არ შეაფერხებდა პატრონიკეს იატაკში ამოხნევილი კარიბჭის კამარის ნაწილი II სართულის სადგომებს შორის კავშირს? ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფუნქციონალური კავშირის არსებობის აუცილებლობითაა შეპირობებული დასავლეთ პატრონიკეს გეგმის ასეთი კონფიგურაცია. ხუროთმოძღვარი პატრონიკეს დასავლეთის გარეგან კედელს სამწახნაგა შევრილით ართულებს, რომლის შესაბამისი შინაგანი აბსიდური მომრგვალების ხარჯზე დაახლოებით 70-სმ-ის გასასვლელია შექმნილი“ (გვ. 51, აბზ. 2. იხ. „დას. პატრონიკეს ცენტრალურ ნაწილის გეგმა“, გვ. 47).

1. ხუროთმოძღვარი, რომელმაც ურთულეს ამოცანებს გაართვა თავი და შექმნა ტაძარი, რომელიც საფუძვლად დაედო ცხოველხატული სტილის ჩასახვასა და განვითარებას, თურმე გასასვლელისათვის, „ფუნქციონალური კავშირის აუცილებლობით აპირობებს“ კარიბჭის ფორმებს; კარიბჭისა, რომელსაც მნიშვნელოვანი აზრობრივი, კონსტრუქციული, მხატვრული დატვირთვა აქვს და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს „პატრონიკეს დასავლეთის გარეგან კედლის სამწახნაგა შევრილით გართულებას მე-2 სართულის სადგომებს შორის კავშირის დასამყარებლად“. ნუთუ ხუროთმოძღვარმა ყველაფერი ეს გააკეთა მე-2 სართულის იმ, სამხრეთ-დასავლეთის, ნაწილში გასასვლელად, რომელიც გამოთიშულია საერთო სივრცობრივი კომპოზიციიდან და მეორეხარისხოვანი, დამხმარე სათავისის დანიშნულება აქვს? (იხ. ჩვენთან სურ. 4). აქი თვითონაც აღნიშნავს ერთგან — „გარდა ამისა“ (ე. ი. დაახლოებით 70-სმ-ის სივანის გასასვლელი შექმნა — ნ. ა.), ამ შევრილი სამწახნაგა ნაწილით მასათა აღნაგობის საერთო კომპოზიციის გარკვეული წონასწორობაცაა დამყარებული“ (გვ. 51, აბზ. 2) თუმცა ეს უმნიშვნელო და წინასწარ გაუაზრებელ ნიუანსად არის მიჩნეული.

2. დასავლეთის პატრონიკე ლოყაა, წარჩინებულთა სამყოფია წირვის ეკლესიის და, ამდენად, შეუძლებელია მისი იატაკი ამოხნევილი, გუმბათოვანი კამარის ზედაპირი იყოს (იხ. „ტაძრის გრძივი განაკვეთი, ხედი ჩრდილოეთით“,




გვ. 52), ის, რომ დასავლეთის პატრონიკე განსაკუთრებული დანიშნულები-
საა — სხვა პატრონიკეთაგან განსხვავებული კონფიგურაციითა და გაფორმე-
ბითაც დასტურდება (დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). მათ საბტ-
თიანობას ისიც ვერაფერს მატებს, თითქმის პატრონიკეს იატაკში მხოლოდ
კარიბჭის კამარის ნაწილი იყოს ამოზნექილი; რეალურად — გუმბათი მთლი
ანადაა ამოზრდილი პატრონიკეს იატაკის ღონიდან (იხ. „ტაძრის გრძივი გა-
ნაკვეთი, ზედი ჩრდილოეთით“, გვ. 52).

3. იმის გამო, რომ პატრონიკეს გეგმა, ისევე როგორც მისი დანარჩენი
ნაწილები, არასწორად აქვთ აღდგენილი (მაგ. პატრონიკე, ჩრდილოეთით და
სამხრეთით, გარშემოსავლელის თითქმის მთელ სიგანეზეა გახსნილი, ხოლო
მათთან — კარის ღობია ნაჩვენები; იხ. „გრძივი კვეთი კარიბჭეზე, ზედი ჩრდი-
ლოეთისაკენ“, გვ. 47), გუმბათოვან კამარასა და აბსიდს შორის 60—70 სმ-ის
სიგანის ვასასვლელი დარჩა. რეალურად კი — აბსიდის კუთხეებსა და ამოზრ-
დილი გუმბათის პერიმეტრს შორის, დაახლოებ-თ 25 სმ-ია, რაც, ცხადია გა-
სასვლელად ვერ გამოდგებოდა (იხ. „დას. პატრონიკეს ცენტრალურ ნაწილის
გეგმა“, გვ. 47 და შედარე, ჩვენთან სურ. 2).

VIII. ძეგლის დასავლეთის ფასადის თავდაპირველი ასახულების აღსად-
გენად მასათა საერთო დანაწევრებიდან გამოვდივართ. ამრიგად ჩვენი რე-
კონსტრუქციის მიხედვით ფასადზე, ფართო გარშემოსავლელის შუა ნაწილს
კარიბჭე ეკვრის, რომელიც ზემოდან პატრონიკეს სამწახნაგოვანი მოცულო-
ბითაა დასრულებული, მის ზემოთ მთავარი ნაწის მკლავებია აღმართული და
ბოლოს ძეგლის საფეხუროვან მოცულობებს პირამიდული სახურავით დას-
რულებული გუმბათის ყელი აგვირგვინებს“ (გვ. 51, აბზ. 3). ასე სხარტად,
დასაბუთების გარეშე, არის აღწერილი და, შესაბამისად, აღდგენილიც, და-
სავლეთი გარშემოსავლელის ზედა, სრულიად დანგრეული და გვიანდელი შე-
ეთებისას სახეშეცვლილი, ნაწილი ფასადისა. მართო იმას რომ წერდნენ —
„ჩვენი რეკონსტრუქციის მიხედვით“ ასეთიაო დასავლეთის ფასადი, არ ვუ-
პასუხებდით, რადგან ჩვენი მიზანია რესტავრაციის პროექტის განხილვა და
არა — რეკონსტრუქციისა. როგორც ჩანს ტერმინი „რეკონსტრუქცია“, „რეს-
ტავრაცია“ სინონიმად მიაჩნიათ თორემ, სხვაგვარად, მთლად გაუგებარი იქნე-
ბოდა მათი ცდა, ტაძრის დანგრეული და სახეშეცვლილი ნაწილების თავდაპირ-
ველი სახის დასადგენად ამდენი გრაფიკული, თუ სხვადასხვა სახის მეცნიერუ-
ლი ანალიზების ჩატარებისა.

1. დასავლეთის „ფართო გარშემოსავლელის შუა ნაწილს კარიბჭე ეკვ-
რისო“, წერენ; კარიბჭე კი არ ეკვრის, არამედ დასავლეთი გარშემოსავლე-
ლის შუა ნაწილია კარიბჭე, რომლის დასავლეთი კედელია გამოწვეული ფასა-
დის სიბრტყიდან. კარიბჭე — ყველგან ამ ნაწილს აღნიშნავს მხოლოდ, და
არა დასავლეთის კარს, „ყველაწმინდასადმი“ მიძღვნილ სამეცნიერო ლიტე-
რატურაში; გამოხატვისი არც მათ წერილშია ამ ადგილის გარდა (იხ. ჩვენთან
სურ. 5).

2. შემდეგ — „რომელიც (კარიბჭე — ნ. ა.) ზემოდან პატრონიკეს სამ-
წახნაგოვანი მოცულობითაა დასრულებული...“ იგივე შეცდომაა, რადგან პა-
ტრონიკეს სამწახნაგა მოცულობით კარიბჭე კი ვერ დასრულებდა ზემოდან,
არამედ, მხოლოდ, მისი შვერილი დასავლეთი კედელი (იხ. „ტაძრის აქსონო-
მეტრიული ნახაზი“, გვ. 49).




სურ. 5. პირველი სართლის გეგმა —
რესტავრაცია.

План I этажа, реставрация.

3. „მის (ე. ი. პატრონიკეს — ნ. ა.) ზემოთ მთავარი ნაეის მკლავებია აღ-
მართული“-ო. საინტერესოა, რამდენი მკლავი აქვს მთავარ ნავს დასავლეთით?
დღემდე — მხოლოდ ერთი იყო ცნობილი.

IX. „დასავლეთ პატრონიკეს ცენტრალური ნაწილის შიგა და გარეგანი
ფორმების თავდაპირველი აღნაგობის წარმოსადგენად ფრიად მნიშვნელოვა-
ნია პატრონიკეს თავდაპირველი გეგმის გარეგანი მოხაზულობის აღმოჩენა,
რის შედეგადაც ნათელი გახდა, რომ დასავლეთ პატრონიკეს შუა ნაწილის
გადაწყვეტა განსხვავდებოდა გვერდითი პატრონიკეების გადაწყვეტიდან, რა-
მეღესაც გარედან საკუთხეველის გვერდითა სათაესების მსგავსი სამწახნა-
გა შვერილი ნაწილი ჰქონდა“ (გვ. 51, აბზ. 2).

1. მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, დასავლეთის პატრონიკესა და
პასტოფორიუმების სამწახნაგა შვერილებს სხვადასხვა აზრობრივი, კომპო-
ზიციური დეტირთვა აქვთ (იხ. „ტაძრის აქსონომეტრიული ნახაზი“, გვ. 49 და
ჩვენთან, სურ. 6) — პასტოფორიუმების შვერილები, ძირითადად, შიგა სტრუქ-
ტურას გამოაველენ ფსაადებზე, ხოლო დასავლეთი პატრონიკის კი, ამ შემ-
თხვევაში, მხატვრულად აუცილებელი ფორმა — მოცულობაა, რომელიც აღ-
მოსავლეთი ფსადის საპირისპიროდ შეიქმნა და ასე ორგანულად, ძალდაუ-
ტანებლად (მიუხედავად იმისა, რომ უჩვეულოა ჩვენთვის) აწონასწორებს,
ჰკრავს ტაძრის კომპოზიციას. უპირველესად — ამიტომ არ შეიძლება პატ-
რონიკეს სამწახნაგა შვერილი, პასტოფორიუმების შვერილების მსგავსად
სიბრტყიდან ამოიზარდოს, როგორც მთავარი მოცულობის რაღაც დანამატი.
პირიქით — იგი საკუთხეველის შვერილი, წახნაგოვანი, აბსიდის მსგავსად,
თვითონაა ძირითადი მოცულობის ფორმის განმსაზღვრელი. ამიტომ არის შე-
უძლებელი, დასავლეთი პატრონიკე, დანარჩენი ორისაგან, მხოლოდ მთავარი
ფსადიდან ამოზრდილი სამწახნაგა შვერილით გამსხვავდებოდეს და არა —
პრინციპულად (გვეიხსენოთ ისიც, რომ პატრონიკეთა შორის იგია წარჩინე-
ბულთა ლოყა).



სურ. 6. ვანაძიანის „კველაწმინდა“.
 რესტავრაციის პროექტი. დასავლეთი
 ფასადი. ავტორი ნ. ალხაზაშვილი.

Вачнадзианский храм «Кведа-Цмин-
 да». Проект реставрации. Западный
 фасад. Автор Н. Алхазашвили.

2. გარდა ზემოთქმულისა, თვით ძეგლს შემორჩა კვალი (და ამის უგულ-
 ებელყოფა ან შეუმჩნელობა შეუძლებელია), რომელიც სრულიად გამოორი-
 ხავს სამწახნაგა შვერილზე უფრო განიერი, ნებრსმიერი ფორმის არსებობას;
 ეს არის თავდაპირველი შირიმის თარო-კარნიზი, რომელიც შემორჩა ან ფა-
 სადს, ჩრდილოეთის კუთხიდან სამწახნაგა შვერილიანი მოცულობის ჩრდი-
 ლოეთის კედლამდე (იხ. ჩვენთან სურ. 7). იგი დაფიქსირებულია — მ. კა-
 ლაშნიკოვის 1912 წლის ანაზომზე და, რაც ყოველად უცნაურია, თვით კ. გი-



სურ. 7. დასავლეთი გარშემოსავლელის ჩრდილო-დასავლეთი კედელი. შირიმის თავდაპირველი თარო-კარნიზი და სარკმელი.

Северо-западная стена западного обхода. Первоначальные карниз-выступ и окно.

ორგობიანისა და თ. დვალის კროკისა და ანაზომზე რომელიც 1979 წელსა შესრულებული.

3. იმან, რომ არასწორადაა გააზრებული და, შესაბამისად, აღდგენილიც, დასავლეთ პატრონიკეს მოცულობა, განსაზღვრა არა მარტო მისი ფასადის, არამედ გეგმის შეცვლაც. პატრონიკე გეგმაში, სხვათა მსგავსად, სწორკუთხედიანია მათთან — ნაცვლად ტრაპეციისა, რომლის არსებობას თავდაპირველად, ვარდა შემორჩენილი, განმსაზღვრელი, რამოდენიმე კვალისა ისიც აღსატურებს, რომ მის ქვემოთ მდებარე კარიბჭეც მსგავსი ფორმისაა. ეს, ცხადია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს — დასავლეთის ორსართულიანი გარშემოსავლელის შუა, მხატვრულად და ფუნქციით უმთავრესი, ნაწილი ერთ კომპოზიციად არის გააზრებული და ასევე იყო ხორცშესხმული (იხ. „დას. პატრონიკეს ცენტრალურ ნაწილის გეგმა“, გვ. 47¹. და შეადარე, ჩვენთან სურ. 3).

შემთხვევითი არც ის გახლავთ, რომ კარიბჭისა და მთავარი ნაღის დასავლეთი კარის, ასევე პატრონიკეს შუა ლიობის (ორი დანარჩენი ჭერ არ გაგვიხსნია) წირთხლები არ არის ერთმანეთის პარალელური — სამივე ლიობი ვიწროვდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

X. არასწორადაა აღდგენილი დასავლეთი გარშემოსავლელის განაპირა სარკმლებიც — ჰორიზონტალური გადახურვით (იხ. „ტაძრის დასავლეთის ფასადის გრაფიკული რეკონსტრუქცია“, გვ. 48). მათგან, ჩრდილოეთისა ზომ შემორჩა თავდაპირველი სახით? მას კი, ისევე როგორც ყველა თავდაპირველ სარკმელს ტაძრისა, შირიმის ფილაში ამოკვეთილი ნაღისებური თავსართი აქვს (იხ. ჩვენთან სურ. 7).. თან — მისი ანალოგიით აღდგენილი სამხრეთის სარკმელი, აუცილებლად, სიმეტრიულად უნდა განთავსდეს ფასადზე,

¹ ნახაზი არასწორადაა ანოტირებული: უნდა იყოს — „დასავლეთი გარშემოსავლელის მე-2 სართლის ცენტრალური ნაწილის გეგმა“, ან — „დასავლეთი პატრონიკე გეგმა“.



რადგან მათ, უპირველესად, მე-2 სართულის დამხმარე, პატრონიკეთა შორის მდებარე, სათავსების განათება ევალებათ (იხ. ჩვენთან სურ. 3); აღდგენილ სამხრეთის, სარკმლის შუა ლერძისაკენ მიახლოება კი — დანიშნულებას უკარგავს მას და ფასადის მხატვრულ იერსაც არღვევს.

XI. ასევე გაუგებარია, დასაბუთების გარეშე, პატრონიკეთა ფრონტონების ხაზგასმა თარო-კარნიზის ჰორიზონტალური მონაკვეთებით (იხ. „ტაძრის დასავლეთის ფასადის გრაფიკული რეკონსტრუქცია“, გვ. 48 და „ტაძრის აქსონომეტრიული ნახაზი“, გვ. 49). ჩვენ, რამდენიმე მიზეზით გამოვიციხებით ამგვარი კარნიზების (შესაბამისად — ფრონტონების) არსებობას:

1. კარნიზის ასეთი, ჰორიზონტალური გადმონაკვეთების კვალი, გარკვევით არსად შემორჩა ძეგლს;

2. ტაძარი „ეკლაწმინდა“ ერთ-ერთი უაღრესი ნაგებობაა ცხოველსატული სტილის ნიშნებით (ვეფქრობთ — იგი „ცხოველსატული“ უფროა, ვიდრე „კლასიკური“), ზოლო მსგავსი ფრონტონები, ძირითადად, აღრინდელი, კლასიკური ხანის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. ამდენად — იგი არღვევს ცხოველსატულობის პრინციპს და ხაზგასმით გამოჰყოფს, თავის თავში ასრულებს, ფასადების ამ მნიშვნელოვან მხატვრულ ფორმებს, ელემენტებს.

3. ამგვარი კარნიზების, შესაბამისად — ფრონტონების არსებობის ვარაუდი არც აკად. გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევაშია გამოთქმული. სხვა მკვლევართან კი — ნაირგვარი, დუსაბუთებელი ვარიანტებია მოცემული (მაგალითად — მ. კალაშნიკოვის 1912 წლის ანაზომზე ასეთი ვადაწკეცებია მთავარი ნაგის ფრონტონებზე, სამთაროიანი კარნიზების მხოლოდ ქვედა რიგის გასწვრივ; რ. მეფისაშვილის ნახაზზე კი — ასეთი კარნიზები აქვთ მთავარი ნაგის მკლავებისა და პატრონიკეთა ფრონტონებსაც).²

XII. დასავლეთი პატრონიკეს დანარჩენი ელემენტების ბედი კი მათთან, ასეთია — „ჩვენ გრაფიკული რესტავრაციის პროცესში იძულებული ვართ, ზოგიერთი ელემენტს ფორმა და ზომა პირობითად მივიღოთ (მაგ. გუმბათოვანი კამარის სიმაღლე, პატრონიკეს სარკმლის ზომა, ფასადზე განთავსების ადგილი და სხვ.)“ (გვ. 50, აბზ. 6). შემდეგ — „არ არის გამორიცხული ისიც, რომ ხუროთმოძღვარს კარიბჭის გადასახურავედ გუმბათოვანი კამარის ნაცვლად შეკრული კამარაც გამოეყენებინა“ (გვ. 52, სქლ. 4).

წერილის ბოლო, შემაჯამებელი აბზაცი შინაარსით (მიზნობრივადაც!) ორი ნაწილისაგან შედგება. განვიხილოთ რიგის მიხედვით:

1. „ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ წარმოვედგინა ძეგლის უმთავრესი ნაწილების რესტავრაცია, რომელიც შენობის სამშენებლო ფენების ისტორიულ-ქრონოლოგიური შესწავლის საფუძველზეა შესრულებული“ (გვ. 52). გარდა ამისა, წერილში, რომელიც კრებულის 4-5 გვერდს მოიცავს, მხოლოდ მრავლადაა მათ მიერ ჩატარებული კვლევის კატეგორიული შეფასებაც:

— „...ფოტომასალისა და პროზორიკული ანალიზის საფუძველზე“... (გვ. 46, აბზ. 3);

² მ. კალაშნიკოვის ანაზომები, ქიიის არქივი; Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, стр. 307 — რ. მეფისაშვილის რესტავრაცია.

— „ამ გამოვლენილმა მასალამ საფუძველი მოგვცა დაგვედგინა.“ (გვ. 49, აბზ. 1);

— „...ყველა მონაცემის საფუძველზე...“ (გვ. 50, აბზ. 1);

— „სათანადო გაზომვებისა და გრაფიკული ანალიზის შემდეგ, მენობის ამ ნაწილში უდავო გახდა...“ (გვ. 50, აბზ. 2) და სხვა და სხვა.

ასე ბეჭითად შესწავლისა და ამომწურავი ანალიზების შედეგები უკვე განვიხილეთ. საჭიროდ მივაჩინია, მოკლედ, შევახსენოთ ისინი:

1. გუმბათის სახურავი აღადგინეს მოხსნამდე არსებული, გვიანდელი, სახურავის შესაბამისი ქანობით — ფოტომასალისა და პროპორციათა ანალიზის გარეშე.

2. თუმცა არაფრით ასაბუთებენ მაგრამ, როგორც ვარიანტს, გვთავაზობენ გუმბათის 16-წახნავა ყელს შესატყვისი კარვით.

3. დაადგინეს, რომ პასტოფორიუმები თავდაპირველად გადახურული იყო გუმბათოვანი კამარებით — ე. ი. ბრტყელი გადახურვები გვიანდელია; შესაბამისად, ჩრდილოეთისა და სამხრეთის აბსიდებიც გვიან არის შეესებული. ყოველივე ამან პრინციპულად შეცვალა ტრიკონქების თავდაპირველი კომპოზიცია და მაინც მიუხედავად ამისა, გვთავაზობენ — შევინარჩუნოთ ეს „ბრტყელ-გადახურვები“ და „ამოქოლილი“ აბსიდები; რადგან, ამ უქანასკნელის ბედზე არაფერს გვამცნობენ, იგულისხმება, რომ ისინიც ხელუხლებლად უნდა დაეტოვოთ.

4. ნამდვილად იციან (გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებაც ემთხვევა!), რომ სამხრეთი პასტოფორიუმის დასავლეთი სათავსის დასავლეთის კედელში, მე-2 სართულზე ასახვლედად, კიბის უგრედი იყო მოწყობილი; იგი გვიანაა შეესებული, მაგრამ აღდგენაზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი — ალბათ, იმასაც ხელუხლებლად სტოვებენ.

5. ჩრდილოეთი პატრონიკეს ჩრდილოეთის კედელში სარკმლის არსებობა საეჭვო შეიქმნა მათთვის, რადგან ვარდევულ ნაწილში ვერ „ჩაატყეს“ სამხრეთი პატრონიკეს სარკმლის ტოლი ღიობი.

6.) „დასავლეთ პატრონიკეს ცენტრალური ნაწილის შიგა და გარეგანი ფორმების თავდაპირველი აღნაგობა“ ასეთია — კარიბჭე გადახურული იყო გუმბათოვანი, ან შეკრული კამარით, რასაც ასაბუთებენ, მხოლოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთი ტრომპის კვალით. პირობითად აქვთ მიღებული — „გუმბათოვანი კამარის სიმაღლე, პატრონიკეს სარკმლის ზომა, ფასადზე მისი განთავსების ადგილი და სხვ.“ (გვ. 50, აბზ. 6). საკუთრივ პატრონიკეს ვეგმა, ფასადები, კარნიზები და დასავლეთი ფასადის გვერდითი სარკმლები ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (სხვათა მსგავსად — შეცდომით!) აქვთ დადგენილი და დახაზული.

7. საბედნიეროდ, თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი სამხრეთის პასტოფორიუმი და მთავარი ნაწის დასავლეთი მკლავი, თორემ, პირველი დაახლოებით 1 მეტრი და 60 სმ-ის სიმაღლე გვეგონებოდა, ხოლო მეორე — მინიმუმ ორმკლავიანი.

სადღაა ამ წერილში რესტავრაციის პროექტის დასაბუთება? ან თუ არის — ეჭვებითა და ვარაუდებით შეიძლება ამის გაეთქება?

11. თავი და თავი კი დასკვნის მეორე ნაწილია — „რაც შეეხება ტაძრის ყველა ნაწილის (გაუგებარია; ალბათ უნდა იყოს — „დანარჩენი ნაწილები“) —



ნ. ა.) რესტავრაციას, უნდა აღინიშნოს რომ ეს, ამჟამად (ხაზი ჩვენია — **ჩვენს** ნ. ა.) ჩვენი ამოცანის ფარგლებს სცილდება. ისინი გამახვილებულ ყურადღებასა და საგანგებო წინასწარ სამუშაოების ჩატარებას მოითხოვენ“ (გვ. 52).

1. შეგახსენებთ ერთ ადგილს მათი წერილიდან, რომელიც, თავისთავად გაუგებარს ხდის ამგვარ განცხადებას — „ეკლესიის ფასადები იმდენად სრულად არის შემონახული თვედაპირველი სახით (გამონაკლისი დასავლეთის ფასადია), რომ ხუროთმოძღვრის მიერ გააზრებული კომპოზიციისა და მხატვრული სახის აღდგენა სიძნელეს არ წარმოადგენს. ამიტომ მათ რესტავრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს არ შეეხებიან“ (გვ. 46, აბზ. 6). შეგახსენებთ იმასაც, რომ ჩვენი, სიმპოზიუმისათვის დაწერილი, მოხსენების მსგავსად, რომელსაც მიჰყვებიან და უარყოფენ რეცენზენტები, წერილში განხილულია ტაძრის უმთავრესი — ძლიერ დაზიანებული ან გადაკეთებული ნაწილები რესტავრაციის საკითხები; დანარჩენი კი — ძეგლს თვალნათლივ შემორჩა.

ა) თუ მათ მოახერხეს დაედგინათ ტაძრის ყველაზე დაზიანებული ნაწილების თვედაპირველი ფორმები, უკვე იგულისხმება, რომ ყოველგვარი წინასწარი სამუშაო ჩატარებულია და ძეგლი საფუძვლიანად არის შესწავლილი (ძეგლი — და არა მისი ცალკეული ნაწილები!). დასტურად ისევ მათ მიემართოთ:

— „ძეგლის სირთულემ, რამაც განაპირობა მისი ღრმა, ძირფესვიანი გამოკვლევა...“ (გვ. 43, აბზ. 2);

— „აზომვით სამუშაოებს წინ უძღოდა: ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური შესწავლა და ძეგლის სრული ფოტოფიქსაცია. ამავე წელს ტაძარი გაიწმინდა...“ (გვ. 46, აბზ. 1);

— „პროექტის კონსტრუქტორის — ნ. მესხის მიერ შესწავლილ იქნა ტაძრის რღვევისა და დეფორმაციის ხასიათი, მისი გამოწვევი მიზეზები. 1979 წლის ზაფხულში ჩვენ ჩავატარეთ ძეგლის სრული არქეოლოგიური აზომვა. ზონდავებისა და შურფების ჩატარებით შესწავლილ იქნა შენობის ყველა მნიშვნელოვანი კვანძი, რის შედეგადაც დამუშავდა რესტავრაციის ესკიზური პროექტი“ (გვ. 46, აბზ. 1, 2).

მაშ, რატომ დასჭირდათ ამგვარი „აკორდით“ წერილის დასრულება?

დავეისაბუთეს რა თავისი პროექტი (ბუნებრივია — ჩვენი პროექტი უკვე უსაფუძვლო გახდა!), გვიპრდებიან, რომ დანარჩენს — ასეთივე მეცნიერული სიფრთხილითა და სიზუსტით შეასრულებენ მას შემდეგ (და ეს არის უმთავრესი!), რაც ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო მათ მიანდობს ვანაძიანის „ყველაწმინდას“ ბელს.

დასასრულ, გვინდა აღენიშნოთ — არავის ეკრძალება ჰქონდეს საკუთარი აზრი (კონცეფცია თუ გამოკვლევა) ნებისმიერ საგანთან, მოვლენასთან დაკავშირებით და ყველაფერი ეს დაისტამბოს კიდევ; მაგრამ თუ ვაითვალვინებთ აკად. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ტრადიციულ (ურყევ) დამოკიდებულებას ახალი სამეცნიერო მასალის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, უდავოა — განხილული წერილი (სწორი იქნებოდა გვეოქვა — „კვლევის შედეგები“) უნდა წინასწარ ყოფილიყო აპრობირებული, ან, უკიდურეს შემთხვევაში — ოფიციალურად რეცენზირებული მაინც.

მინაწერი ნათლისმცემლის მონასტრიდან


დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის კვლევის ექვსი ათეული წლის მანძილზე დაგროვილ ფაქტობრივ მასალაში საგულისხმო ადგილი ეპიგრაფიკულ ნიმუშებს — ლაპიდარულ, ფრესკულ წარწერებსა თუ პილიგრიმულ მინაწერებს (გრაფიტებს) უჭირავს¹. ამ ერთობ საინტერესო მასალის მნიშვნელობა ბევრად სცილდება საკუთრივ მრავალმთის მონასტრითა ისტორიის კვლევის ფარგლებს, რადგან დღეისათვის აქ შემონახული ეპიგრაფიკული ძეგლები შუა საუკუნეების ქართული კულტურის მრავალ მნიშვნელოვან მხარესთანაა დაკავშირებული — მათი გამოვლენა და შესწავლა არაერთ საყურადღებო საკითხს მოჰფენს ნათელს.

გარეჯის მრავალმთის განშტოებათაგან ნათლისმცემლის ლავრას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. აქ საუკუნეთა მანძილზე არ შეწყვეტილა სამონასტრო ცხოვრება და, ამდენად, მასალა მისი ისტორიის საკვლევად, კომპლექსის სხვა მონასტრებთან შედარებით, გაცილებით უფრო უხვია. გარკვეულწილად ეს ეპიგრაფიკის შესახებაც ითქმის. წინამორბედის სახელზე დაარსებული ამ ერთ-ერთი უძველესი მონასტრის მრავალრიცხოვან, სხვადასხვა დანიშნულების ქვაბებში დღემდე აღუნუსხავ და შეუსწავლელ მრავალ გრაფიტს შეხვდებით. თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით მათგან რამდენიმე მინაწერი განსაკუთრებით გამოირჩევა. წინამდებარე წერილში ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე შევჩერდებით.

მონასტრის აღმოსავლეთი მასივის გამოქვაბულთა შორის ერთი მცირე ზომის, ოთხკუთხა მოხაზულობის სამლოცველო გამოუყვითათ. იგი ე. წ. „იოანე მამასახლისისიეული“ ეკლესიის² გვერდით, მის აღმოსავლეთით მდებარეობს. ეს ქვაბი შეღესილია და მოხატული. გვიანი ხანის ფერწერული შემკულობა აქ ალაგ-ალაგ მონასტრად მოსულთა მინაწერებითაა დაფარული. ამ მინაწერთაგან ერთი ავტორს ჩარჩოთი შემოუზღუდავს, რითაც იგი რამდენადმე გამოიყოფა დანარჩენი გრაფიტებისაგან. ჩარჩოში მოთავსებული ტექსტი მხედრულითაა ნაწერი; იგი ოთხსტრიქონიანია, ნალესობის ჩამოშლის გამო აქლია ოთხივე სტრიქონის დასაწყისი (ნახ. 1):

1. [...] [შე] უღ[ი]რსი აღექსის ძე ცუკია დავით მოველ
2. [...] ს თაყვანის ვეც საღმრთოთა: ტრფიაღებ
3. [...] მეფობასა ირაკლი მეორისასა
4. [...] [წელსა] ჩღებ დავით

ლამაზი, კალიგრაფიული ხელით შესრულებული ეს მინაწერი, როგორც ვხედავთ, არ შეიცავს რაიმე მნიშვნელოვან ცნობებს. იგი სხვა მხრივაც საყურადღებო — ტექსტიდან ირკვევა, რომ წარწერა შეუსრულებია დავით ალექსის ძეს, „ცუკიად“ წოდებულს, ერეკლე მეორის მეფობის პერიოდში, 1785 წელს. მინაწერის შემსრულებლის ვინაობის დადგენა ყოველივე ამის საფუძველზე რთული არ არის — ესაა ალექსი-მესხიშვილთა გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და კალიგრაფი დავით ალექსის ძე ალექსი-მესხიშვილი, იგივე დავით რეპტორი (1749—1824 წწ.).



ნახ. 1.

Фото 1.

მინაწერის ავტორის ვინაობა ტექსტის ბოლოს შესრულებული ხელრთვიდანაც ჩანს. ამ ცნობილი კალიგრაფის მიერ გადაწერილ თხზულებებში ხელრთვებს ძალზე ხშირად ვხვდებით და მათი უმეტესობა სწორედ ნათლისმცემლის მონასტრის გამოქვაბულ სამლოცველოში შესრულებული წარწერის ანალოგიურია (შდრ. ნახ. 2). იგივე ითქმის ასოთა მოხაზულობის შესახებაც — ახლადმიკვლეული მინაწერი ამ მხრივ საესებით იდენტურია დავით აღლექი-მესხიშვილის მიერ გადანუსხული ტექსტებისა (ნახ. 3); დასასრულ, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ცუკია სწორედ დავით რექტორის მეტსახელი იყო—თანამედროვენი მას „კომპაი ცუკას“ სახელით იხსენიებდნენ, რადგან „ის თავის დიდ ენციკლოპედიურ განათლებას უერთებდა ხუმრობის ნიჟს“.⁴



H-1382

S-272

A-1414

S-61

S-136

ნახ. 2.

Фото 2.

დავით აღლექი-მესხიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაწერილა⁵. XVIII-XIX სს. მიჯნის ამ თვალსაჩინო მოღვაწის სახელი მჭიდროდ უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს. ანტონ კათალიკოსთან და გაიოზ არქიმანდრიტთან ერთად თე-

კარი ჰირული ბასციარ ჟლომეივს ამბავ
ცხინვალში ამდგენი მსმელოს თვის. მწმ
სცა ფოღების წიგნსა ამას სახელად ჩარდა
კრიზიანი:

S-61

ნახ. 3.

ფოტო 3.

ლავის სემინარიის დაარსების მოთავეს (შემდგომში მის ხელმძღვანელს), ქართლ-კახეთის სკოლების „ინსპექტორსა და უპირველეს მოძღვარს“, დავით რეპეტორს, ბუნებრივია, მკიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზონასტრო ცენტრის — გარეჯის იმხანად მოქმედ მონასტერთა — ლავრის, დოდოს რქის, ნათლისმცემლის მესვეურებთან, რომელთა შორისაც, უთუოდ, არაერთი მისი თანამდგომი და მოწაფეც იყო.⁶

არსებობს დავით აღმაშენებლის ნათლისმცემლის მონასტერში ყოფნასთან დაკავშირებული საგულისხმო მოწმობაც. იგი უშუალოდაა დაკავშირებული ახლადმოკვლეულ მინაწერთან, ესაა A-1304 ხელნაწერი—დოგმატიკურ-კანონიკური კრებული, რომლის გადაწერისეულ ანდერძშიც ვკითხულობთ:

„დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა მონასტერსა შინა მოველ, ყოვლად უღირსი და ცოდვილი ალექსიხ ძე დავით, თაყვანისცემად და მოლოცვად, ვინათგან სურვიელ ვიყავ ხილვასაცა და თაყვანისცემისა ამა წმიდათა ადგილთა. დღეთა შინა ორმეოცთა მარხვისასა დაყავ კვრანი ხუთნი. ამა მონასტერთა შინა მყოფმან პატიოსანმან და ყოვლადღირსმან ჯანკრძალულმან მღვდელ-მონაზონმან, სახელით იოანე, მიიძულა ამა წიგნისა აღწერა. მეცა უღირსი ბრძანებასა მისსა ვერღა ურჩ ვეჭმენ და აღწერე ესე წიგნი სამოძღურებელი და მართლისა საარწმუნოებისა აღსარება ჭეშმარიტი სულხან საბა ორბელიანისაგან თქმული, ხუცურად. ყოველთა ამა ჩემისა ნაშუაყვეისა მხილველთა გვედრები — თუმცა რამე სინაკლე იხილოთ, შემინდევით, ამად, ვითარმედ უდაბნოთა შინა სიწვირის გამო კელის მომართვა არა მაქუნდა.

ხოლო შენ, ღირსო წმინდაო მამაო და ქრისტეს მოღვაწეო იოანე, ჩემ გლახაკისა და ცოდვილისათვის ლოცვათა შინა შენთა ვედრებათა და მოჰსენებათა



პუოფდე. აღიწერა თთუშა აპრილსა, რიცხუსა ით, დღესა შობთსა დიდსა, სრულ იქმნა ქრისტეს აქეთ წელსა: **ჩღპე: ქს: უოგ** (ფ. 152v—153v) **წარწერა**

როგორც ანდერძიდან ირკვევა, აღნიშნული ხელნაწერი დავით რექტორის დადუნესხავს, ამასთან სწორედ 1785 წელს, ნათლისმცემლის მონასტრად ყოფნიას. ტექსტში ზუსტადაა მითითებული მისი იქ ყოფნის დრო — მარტის შუახანებიდან მოკიდებული ერთ თვეზე მეტი. უთუოდ ამ პერიოდშივე იქნა შესრულებული ზემოთ მოტანილი მინაწერიც, რომელიც წინამორბედისად სახელდებული მონასტრის გვიანი ხანის ისტორიის თუმცა მცირე, საგრამ უთუოდ ფასეულ წყაროს წარმოადგენს.

¹ Г. Н. Чубинашвили. Пещерные Монастыри Давид Гареджа. Тб., 1948; ლ. მელიქსეთ-ბეგის გარეჯის „მრავალშის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა — ქართულ-სომხურ-ფილურული: ენობიკის შიამბე, ტ. V-VI, 1940, გვ. 153-175; თ. ბარნაველი. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962; გ. აბრამიძე. შვილი. დავით გარეჯის ციველ ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972; გ. გაფრინდაშვილი. 1089 წლის წარწერა მიწისძვრის შესახებ წამებულის უდაბნოს „ხართონის ქუბიდან“: მცნე, ისტორიის... სერია, 1976, № 2, გვ. 177-186; მისივე, ძველი ქართული კულტურის კვლევის სპეციფიკური პრობლემები და გარეჯის უდაბნო: „სპეციფიკური კვლევა-ძიებანი“, სპეციფიკური XI სამეცნიერო სესიი, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 1977; ვ. სილოგავა. ზემო სვანეთის გრაფიკები (წინასწარი ცნობები), კრებული: „სვანეთი — II“, თბ., 1979, გვ. 112-114; ზ. სხიარტლაძე. ტაძრის მოზაიკური ისტატის აღნიშნული ტერმინისათვის ძველ ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შიამბე, ტ. 103 № 1, გვ. 221-224; მისივე, ამავე კატორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის შივარ ტაძარში: „საბჭოთა ხელოვნება“, 1983 № 11, გვ. 66-110; მისივე, საბერძენის ფრესკული წარწერები, თბ., 1987.

2. იოანე მამასახლისიეული ზემოხსენებულ გელესის იქ მიკვლეული ფრესკული წარწერის მიხედვით ეუწოდეთ. ეს გამოქვაბული სამლოცველო და მისი მოხატულობა ჩვენს ცალკე, სივანეებო წერილის სავანე შიადგენს.

³ იხ. ხელნაწერები — S-5 (ფ. 130), S-61 (ფ. 206), S-65 (ფ. 34), S-136 (ფ. 29), S-192 (ფ. 261), S-203 (ფ. 133) S-272 (ფ. 390), S-1143 (ფ. 86), S-1154 (ფ. 284), H-376 (ფ. 111), H-1382 (ფ. 24), A-1414 (ფ. 144), A-1427 (ფ. 121) და მრავალი სხვა.

⁴ ტ. რუხაძე. ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 13.

⁵ ვ. ვ. ბერაძე. დავით რექტორი — ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგეძეძე. ლი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, 1936, გვ. 310-332; ს. კუბიაშვილი. ფაქტები და შენიშვნები: „ლიტერატურული საქართველო“, 1943, 10. IV. ქ. სანიკიძე. თელავის სემინარია და დავით რექტორი: ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946, გვ. 63-73; ტ. რუხაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 13-86; ვ. შიკიძე. მასალები დავით რექტორის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ: „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XIII, 1961, გვ. 217-224. ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. 1, თბ., 1962, გვ. 371-375.

⁶ ერთი ამოფანის, იოველ გარეჯელის შესახებ, იხ. ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 373.

⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტომი IV, შიადგინა ქ. შარაშიძემ, თბ., 1954, გვ. 377-378; ანდერძის ანალოგიური ტექსტი ხელნაწერში მეორედაც გვხვდება, ფ. 154r-155r-ზე.

ქვაჯვარა გუჯარეთის თონეთიდან

გუჯარეთი თორის ულამაზესი ხეობაა. აქაურ ნასოფლარებში ჭერაც შემორჩენილია მატერიალური კულტურის ძეგლთა საყურადღებო ნაშთები (ციხეები, ეკლესიები, ქვაჯვარები, ზეთსახდელები). ვახუშტი ბატონიშვილის დროსვე, მისი სიტყვით, აქ „ყოფილ არიან მრავალნი შენობანი და ეკლესიანი გარნა აწ შემუსვრილნი“ (1.59).

სოფ. გუჯარეთის მახლობლად, მის სამხრეთ-დასავლეთით, გუჯარულას მარცხნიდან ხევი უერთდება, რომელსაც ამჟამად „სახდელის ხევის“ უწოდებენ; ვახუშტი ამ ხევის სახელს არ იხსენიებს, თუმცა კი მის ორსავე ნაპირზე აღნიშნავს ორ სოფელ ღინტურს. ერთი სოფელი ღინტური ახლაცაა ხევის მარცხენა ნაპირზე, გუჯარულასთან მისი შესაყარის სიახლოვეს. სახდელის ხევის ახლა სამანქანო გზა მიჰყვება, რომელიც ქვაჯვარის მთასთან უღელტეხილის ვავლით ნარიანში გადადის; ეს კი შესანიშნავი, მთებით მოზღუდული ბალახოვანი ველია ქციის ზემო წელზე, რომელიც ვახუშტის დროს (და ახლაც) გუჯარეთს ეკუთვნოდა: „აწ იყო ნარიანიცა ამისი, სადა დგების ზაფხულს ცხვართა და პირუტყვთა სიმრავლე ტბის-ყურამდე, ადგილსა ვაკესა და შეენიერსა“ (1. 60). ნარიანისკენ მიმავალი გზის სიძველისა და მნიშვნელობის მოწმობაა ორი მაღალი ქვაჯვარა, რომელთაგან ერთი სოფ. ღინტურის სამხრეთით, გზისპირა ქედზე დგას, მეორე კა ქვაჯვარის მთის უღელტეხილზე. ამ უკანასკნელმა მისცა სახელი მთასაც. ორსავე ქვის ზედა ნაწილში, დადაბლებულ სიბრტყეზე მოგრობო რელიეფური ჭვარია გამოსახული. მათი ურთიერთმსგავსება ამ ქვაჯვარათა აღმართვის ერთ პერიოდზე უნდა მეტყველებდეს.

სახდელის ხევის შუა წელზე ორი ნასოფლარია გაღმა-გამოღმა. მარცხენა სანაპიროზე ეკლესიის ნანგრევს შიგნიდან შელესვისა და მოხატვის კვალი ეტყობა. ჩრდ. კედლის გარეთ ვეება გელაზის ქვა გდია, ხოლო იქვე მიწაში ღრმად ჩამჯდარი შენობა შესაძლოა ის ზეთსახდელია, რომლის გამოც გვიან მოსულმა მოსახლეობამ ამ ხევის სახდელის ხევი შეარქვა.

გაღმა მეორე ნასოფლარია, რომელსაც თონეთს უწოდებენ ახლა. ვახუშტისთან ამ სახელწოდების სოფელი არ ჩანს. ნასოფლარში ერთნაიანი დარბაზული ეკლესიის ნანგრევია, რომელიც ნაკლებად დამუშავებული ქვებით უშენებიათ. შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია; აფსიდში ორი ნიშია, ხოლო ჩრდ. კედლის მახლობლად მოზრდილი ბრტყელი ლოდია მიწაში ჩასმული. მისი ზომებია: 1,4×0,7 მ×0,36 მ. ქვის დასავლეთ დამუშავებულ მხარეს რელიეფური ორლილეიანი ჩარჩო შემოუყვება — ზევით თაღოვანი, ქვევით — სწორკუთხა. ჩარჩოს შიგნით რელიეფური ტოლმკლავა ჭვარია გამოსახული, რომელიც მაღალ საყრდენზე დგას. ჭვარი ოთხზოლიანი გრეხილითაა შეესებული და შუაში კოპი აქვს. ქვედა მკლავის ორივე მხარეს, ორი წვერულვამიანი მიმაკაცის ფიგურაა გამოკვეთილი. მათ თითო ხელი ქამარზე უდევთ, მეორეთი კი ჭვარის საყრდენი უჭირავთ. ორივეს ერთნაირი, ქამარშემოჭერილი კაბა აცვია წვივებამდე სიგრძისა. მოკლე ტანთან შედარებით დიდი

თონეთის ქვაკვარა.

Каменный крест из Тонети.



ზომის თავებზე, ერთიმეორისაგან განსხვავებული თავსაბურავი ახურავთ. მარცხენა ფიგურას თავთან ორი ასო აქვს ამოჭრილი გ-ლ (გაბრიელ), მარჯვენას — თ-ე (თედორე). პორიზონტალური მკლავების ზევით დარჩენილ სივრცეზე ამოკაწრული ასოების ნაშთია, რომელთა გარჩევა ადვილზე აღარ მოხერხდა.

რელიეფური ჩარჩოს ლილვები ოთხ ადგილას კვადრატებით ერთდება. ორი მათგანი ქვედა კუთხეებშია, ორი კი — ჯერის პორიზონტალური მკლავების სიმაღლეზე; ოთხივეზე წარწერაა, რომელიც მარცხენა ზედა კვადრატიდან გადადის მარჯვენაზე, შემდეგ კი ქვედა კვადრატებზე გრძელდება წარწერის მონახაზები (1, 2, 3, 4). (წარწერა შესრულებულია ნუსხურით, რომელშიც ზოგჯერ ასომთავრულია გარეული. მას თითქმის არაფერი აკლია და აზრიც დასრულებული ჩანს.* იგი ასე იკითხება: „ადიდოს /ლ(მერთმან)ნ სოლ/ი ოქროი/ სი.** //ჩ(უ)ენ მისთ/ა ძმა/თა თ/ვედორ(ე)// და გ(ა)ბ(რი)ელ/ ესე ბარ/ზიმი/ ვამ-სახ/ორ(ე)თ//წმ(ი)დ(ა) სა/გ(ი)ორ(ე)ის ყოდ/ევისა/სა ა(მე)ნ“.

წარწერაში ქარაგმის ნიშანი მოკლე სწორი ხაზია და ხუთჯერაა ნახმარი, მიუხედავად იმისა, რომ ასოები სხვაგანაც გამოტოვებული. განკვეთილობის ნიშანი არსად არაა, დამწერი სიტყვების დაშორებას ცდილობს; „უ“-ს მაგიერ ყველგან „ო“ წერია. პირველ კვადრატში საკუთარი სახელია ოქრო, რომლის შემდეგ თითქოს ასომთავრული „ი“ ჩანს, შემდეგ კი „სი“, ე. ი. „ოქროსი“; მაგრამ წარწერაში მ-ჯერ ნახმარი „ი“ — სრულიად სხვაგვარადაა ამოჭრილი, ამიტომ შესაძლოა აქ დაზიანებული „პ“ გვქონდეს და მაშინ ეს

* ეს ქვა ჩემამდე უნახავს პროფ. ს. მკალათიას და კანკელის ნაწილად მოუჩვენია. წარწერა მას არ წაუკითხავს, თუმცა თ შეუმჩნევია. ქვას იგი XVI-XVII სს. ათარიღებს. იხ. მკალათია, ბორჯომის ხეობა, თბ., 1957.

** ან ოქრობ(ირი)სი.

ႁ ႂ ႃ ႄ ႅ ႆ ႇ ႈ ႉ
 ႊ ႋ ႌ ႍ ႎ ႏ ႐ ႑ ႒ ႓
 ႔ ႕ ႖ ႗ ႘ ႙ ႚ ႛ ႜ ႝ
 ႞ ႟ Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ

ნახ. 1.

Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ
 Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ
 Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ
 Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ

ნახ. 2

ნახ. 3.

Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ
 Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ
 Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ
 Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ

Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ
 Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ
 Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ
 Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ

ნახ. 4

ს. ცეცა უნდა წაგვეკითხა, როგორც „ოქროპირისი“. ერთზე ნეტი ქოსი გამოტოვება საკუთარ სახელში აქ სხვაგანაც გვაქვს — გბ-ლ, ვ-ი.

წარწერიდან ირკვევა, რომ თედორე-ა და გაბრიელს ყუღუგის წმიდა გიორგისათვის სახმარად მიუციათ ბარზიმი. მათი ოჯახური მდგომარეობა არ ჩანს, მაგრამ ისინი ძმები არიან ოქროსი (ან ოქროპირისი), რომელიც ალბათ აზნაურული სახლის უფროსია. აქ არც ეკლესიაზეა საუბარი, არც ჯვრის აღმართვაზე, თუმცა კი ქვას ზევიდან ფოსო აქვს ამოჭრილი (17 სმX20 სმ), ალბათ ჯვრის ჩასასმელად. ძმებს ხელთ უპყრიათ მაღალი ჯვარი, წარწერაში კი ამბობენ „ესე ბარზიმი ვამსახურეთო“. საბასთან ბარძიმი არის „ფეკიანი მაღალი სასმისი“, ძველ ქართულშიაც იგი ვერცხლის სასმისია, ზიარების ჭურჭელი (2; 3). გამოდის, რომ უფროსი ძმის სულის სადიდებლად თედორესა



და გაბრიელს ბარზიმი გადაუციათ ეკლესიისთვის თან, საყურთხვევლთან ქვაჯა-
ვარა დაუდგამთ, რელიეფური გამოსახულებითა და წარწერით. ამ უკანასკნელს
ეკლესიაში აღმართვა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ბარზიმის მსახურ-
ება: ამიტომ, შესაძლოა ჯერის ზევით არსებულ წარწერაში სწორედ ამაზე იყო
საუბარი. უნდა ვიფიქროთ ბარზიმიც სადაც ამ ქვის სიახლოვეს იქნებოდა,
აღმათ აფსიდის ნიშაში, არაა აუცილებელი ოქრო (ან ოქროპირი) გარდაცვლი-
ლი ყოფილიყო, რადგან „სულის დიდება“ ცოცხალ ადამიანზედაც ითქმოდა.

სახელი ოქრო (ისევე როგორც ოქროპირი) გავრცელებული ყოფილა
ფეოდალურ საქართველოში, აქედანაა მიღებული გვარები ოქრუაძე, ოქრუაშ-
ვილი, ოქროპირიძე, ოქროპირაშვილი... საბუთებში ეს სახელი სხვადასხვა გა-
რანტით გვხვდება: 1260/1300 წწ. ბეგა სურამელის დაწვრილში, ვინმე
ჯომარდისძის სახელი სამნაირადაა ჩაწერილი: ოქუროი, ოქროი, ოქურაი.
1189 წ. ჰიაბერის დაწვრილში მღვიმისადმი იხსენიება მიხითარაისძე ოქრაი
(4. 166, 96); XIII-XIV სს. სვინაქსარში კი იხსენიება ოქრა გაგაძსძე, რომელ-
საც გადაუწერია იგი „სანახებსა აწყურისასა და საყდარსა წმიდისა ღმრთისმშო-
პლისასა“ (5. 110). ჩვენი წარწერის პიროვნების გაიგივება რომელიმე მათგან-
თან, სხვა საბუთების უქონლობის გამო ძნელდება.

ვინმე თევდორე გუჯარათის სხვა პუნქტშიაც იხსენიება: პატარა მიტარ-
ბის მახლობლად მყოფი თელოვნის ნაოფლარის წმ. ელისა ეკლესიაზე მო-
თავსებულ წარწერაში; მის აღმოსავლეთ სარკმელს დამახასიათებელი წარბი
აქვს ზევიდან, რომელსაც ჯვარი აზის. მის ორივე მხარეზე კი, მოკლედ დაქარაგ-
მებული საში სიტყვაა, ასომთავრულით ამოჭრილი: „ქრისტე, შეიწყალე თე-
ვდორე“, აქ იგი ეკლესიის მამულებელი შეიძლება იყოს; თონეთის წარწერის
თევდორესთან მისი გაიგივების საცდური არსებობს, მაგრამ თელოვნის ეკ-
ლესიაცა და წარწერაც უფრო ადრეული ჩანს. ისე, კი გამორიცხული შეიძლება
არ იყოს გუჯარულას ხევის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებ აზნაურულ სა-
ხლში, ერთი სახელი (თეოდორე) თაობებში გამეორებულიყო. თონეთის წარ-
წერაში მოხსენიებული ძმები სხვა წყაროებით უცნობნი არიან.

თონეთის ბარელიეფის მსგავსი კომპოზიცია გვხვდება იმავე გუჯარულას
მარცხნივ არსებული ნაოფლარის, ტყემლოვანის ეკლესიის აღმოსავლეთ სარ-
კმლის თავზე; აქაც სარკმელს ზევიდან წარბი გაუყვება, მას მოგობო ჯვარი ად-
გას, რომელიც აქეთ-იქით მდგომ ორ ფიგურას უჭირავს. სარკმლის ზედა სარქ-
ველის მიხედვით ეს გამოსახულებაც უფრო ძველი ჩანს, ვიდრე თონეთისა.
საერთოდ, ეკლესიის ნაშთების, რელიეფური გამოსახულების სტილის,
ჯერის მორთულობისა და წარწერის ხელის მიხედვით, თონეთის ქვაჯვარი
XII-XIII სს. შეიძლება დავათარილოთ.

წარწერის ბოლოს დასახელებულია „ყუდევის წმ. გიორგი“. (მღრ.:
„სადგერის წმ. გიორგი“, „ხვამლის წმ. გიორგი“, „ილორის წმ. გიორგი“). გა-
მოდის, რომ ეკლესია, სადაც ეს ქვა დაუდგამთ და ჰარზიმი უმსახურიათ, წმ.
გიორგის სახელობისა ყოფილა, ხოლო სოფელს მაშინ რქმევია ყ უ დ ე ვ ი.

საზოგადოდ თორის, ისევე, როგორც სამცხე-ჯავახეთის არქეოლოგიურ
მასალებში, ჯერ კიდევ შუა და გვიანბრინჯაოს ეპოქაში, როდესაც თორში
მოსახლეობა მატულობს, შეიმჩნევა დასავლურ-ქართული ელემენტის მომძლავ-
რება, თუმცა აქვე შეინიშნება აღმოსავლურ-ქართულ კულტურასთან შეხვედ-



რის მომენტიც (6, 71, 72). არქეოლოგიური მასალის ანალიზით მიღებულ ამ რიგის დასკვნებს, ეხმაურება სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმია. იქ აღმოჩენილი ძველი ზანური ენობრივი დანაშრევები გამოძახებს პოულობენ თორის სხვა ერთ გეოგრაფიულ სახელწოდებაშიც; ასეთებია: ჭობისხევი უძველესი ზანური „ჰობ“ („წაბლი“) ფუძით; ზანაეი, რომელიც თორის გარდა საქართველოს სხვა რაიონებშიც გვხვდება და „ზან“ ფუძიან გეოგრაფიულ სახელებთან ერთად (ზანა, სანანო, ზანათი), შესაძლოა ზანური ტომის ნაკვალევიც იყოს (7; 8. 422, 493). ასეთივე სახელი ჩანს გუჯარეთის უღღევიც: ის და სამცხის უღღე საერთო ძირიდან უნდა მოდიოდეს („ტუღე“ — „სახლი“) და ისიც ზანურის ნაკვალევად შეიძლება მივიღოთ. მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ევ სუფიქსი მას ალბათ შემდეგ დაერთო (შდრ.: ნადაზბაზევი თორთან). აკად. ავ. შანიძის აზრით, „ევ“ კილო ახლოს უნდა მდგარიყო ზანურთან“ და მას შეიძლება პირობითად მარგული ვუწოდოთ (7. 443). არგვეთი კი თორის მეზობელი პროვინცია იყო.

აქვე შეიძლება მოვიგონოთ სამძივარი და გუჯარეთი. გუჯარულას მარცხენა შენაკადის, სამძივისხევიდან წარმოებულ სავაჭრელო სახელ სამძივარში, ჩანს ადამიანის წარმომავლობის მეგრულ-ქანური სუფიქსი „არ“-ი. შესაძლოა იგივე იყოს „გუჯარ“-შიც „გუჯ“-ელის მნიშვნელობით (შდრ. გოგარენე-გუჯარქი — 8. 36). ამ მხრივ სინტერესოა, რომ გუჯარეთი არის ზემო აქარაშიაც, ხოლო სოფ. ტაძრისთან (დვირისხევიში) არსებობს გუჯარისციხე გუჯარისხევი და გუჯარისხევის ეკლესია. ვინმე გუჯარისძე თვედორე იხსენიება ტბეთის სულთა მატეანის XIV—XV სს. ფენაშიც (9. 19).

ამრიგად, გუჯარეთის თონეთის წარწერამ სოფლის ძველი სახელწოდება დაგვადგინა. აქაური ქვაჯვარა საყურადღებო ძეგლია, რომლის გადატანა ბორჯომში, ან თბილისში მეტად საშუერი საქმეა: 10 წლის განმავლობაში (მეის 1975 წ. ვნახე), როგორც გადმომცეს, წარწერა ძლიერ დაზიანებულია.

¹ ეახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერჩენიშვილის რედაქციით. თბ., 1941.

² სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966.

³ ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

⁴ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სლოგაევამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა II. შედგენილია და დასაბუღდად დამზადებულია ა. ბაქრაძის, თ. ბრეგვაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1961.

⁶ ი. ლამაზიძე, თ. ტატიშვილი. მასალები თორის წინაფეოდალური ხანის ისტორიული გეოგრაფიისათვის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული VI, თბ., 1982.

⁷ გრ. ბერიძე. ჯავახეთის გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისათვის, „მნათობი“ 9, თბ., 1972.

⁸ ს. ჯიქია. გერჯისტანის ელავეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958.

⁹ ავ. შანიძე, ევ. კოლოს კვალი საქართველოს ტოპონიმიაში, თბულებანი II, თბ., 1981.

¹⁰ ავ. შანიძე, ვინაობის არ სუფიქსი ქართულ ენაში, თბულებანი II, თბ., 1981.

¹¹ ტბეთის სულთა მატეანე, თ. ენუქიძის გამოც. 1977.

ქახეთის ერთი უცნობი არქიტექტურული ძეგლის შესახებ

(ვაზოვანი)

ვაზოვანი, რომელიც ეკლესიის ნანგრევებს შემორჩა სახელად, მდებარეობს ქალაქ ყვარლის ჩრდილო-აღმოსავლეთით სამ კმ-ზე, კავკასიონის ძირში, მდ. ვაზოვანის მარცხენა მხარეს.

ვაზოვანის ეკლესია მდინარის მარცხენა მხარეს, შემალღებულ ადგილზე აუგიათ. ეკლესიასა და მდინარის ღრმა კალაპოტს შორის სიმაღლეთა სხვაობა დაახლოებით 10—12 მეტრს შეადგენს. ძველი დაცილებულია მდინარისაგან 35—40 მეტრით. ამჟამად როგორც ეკლესია, ისე გარშემო ტერიტორია ხშირი ტყითაა დაფარული, ხეებია ამოსული თვით ტაძარშიც, რის გამოც ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული, კედლები დამსკდარ-დაბზარულია. ეკლესია დღეს ძალიან ცუდ მდგომარეობაშია: მისი დიდი ნაწილი ჩამოქეუულია, სახურავის მხოლოდ მცირე დეტალია შემორჩენილი სამხრეთის ნაწილში.


როგორც ჩანს, ეკლესია არც თუ პატარა დასახლების მრევლისათვის აუგიათ. ამაზე პირველ ყოვლისა ძეგლის მოცულობა მიუთითებს. მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით შეიმჩნევა ქვის ყორეები და ნასახლარები, რაც მიგვანიშნებს, რომ ეკლესიასთან მოზრდილი დასახლება ყოფილა. თუ შემორჩენილი სახელი — ვაზოვანი თავის დროზე ამ დასახლებას ეკუთვნოდა, ალბათ ეს ადგილები ვაზოვან-ვენახოვანი ყოფილა და მეურნეობაც უმკველია მევენახეობაზე და მეღვინეობაზე იქნებოდა დამყარებული.

საინტერესოა ამავე დროს, რომ ვაზოვანის აღმოსავლეთით, 3 კმ-ზე დღესაც არის შემორჩენილი საკმაოდ დიდი ნაქალაქარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ყორიანს“ ეძახის. აქ არის დადასტურებული ძალზე საინტერესო ნასახლარები, მათ შორის ქვევრები, საწნახელები და ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევებიც, თითქოს „სამეკლესიოანის“ ტიპისა. ისე რომ ვაზოვანიცა და „ყორიანიც“ კავკასიის კალთებზე შეფენილი ძველი დასახლებების ნაწილებია, რომელთაც თავისი საკუთარი ტაძრებიცა ჰქონიათ.

ეკლესია ნაგები ყოფილა რიყის და ნატეხი ქვით, კირის ხსნარზე, არსად აგური არ ჩანს. კუთხეებში მსხვილი თლილი ქვებია გამოყენებული, შიგადაშიგ, ვათილი შორიმიც ვგვხვდება. ეკლესია შიგნიდან და გარედან ყოფილა ვალესილი კირის მკვირივი ხსნარით. ეკლესიის ძლიერი დაზიანების გამო მისი სრული სურათის აღდგენა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების განხორციელებით თუ მოხერხდება. ეკლესია წარმოდგენილია ცენტრალური ვრცელი დარბაზით (სიგრძე 16 მ), რომელსაც აღმოსავლეთ ნაწილში, საკურთხევლის სამხრეთით და ჩრდილოეთით ეკვრის სწორკუთხა მოყვანილობის სათავსები, ალბათ სამკვეთლო და სადიაკვნე. აფსიდი ნალისებრია, აღმოსავლეთით გარეთ შევიწროებული სარკმელი აქვს დატანებული, აფსიდი მთლიანად ჩასმულია ტაძრის სწორკუთხედის ფარგლებში, საკურთხევლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში და სამხრეთ კედელში მომცრო ნიშებია დატანებული. ინ-

სურ. 1. ვაზოვანი. გეგმა.

Фото 1. Вазовани. План.



სურ. 2. ვაზოვანი. ინტერიერის სამხრეთ კედელში გაჭრილი შესასვლელი

Фото 2. Вазовани. Входная дверь в южной стене.



ტერიტორიის შთელ სივრცეზე სამი წყვილი წახნაგოვანა პილასტრია ჩარიგებული. ზოგი პილასტრის ქვედა ნაწილი მონგრეულია. (სურ. 1).

ეკლესიას სამი შესასვლელი ჰქონია — სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლებში. სამხრეთის კარი თაღოვანია, თითქმის ნახევარწრიული (მისი შუა ნაწილი გახეთქილია, კარის სიგანეა 1,55 მ., დასავლეთის კარიც თაღოვანია (სიგანე 1,50 მ). თაღები შეკრულია რიყის ბრტყელი ქვებით. ჩრდილოეთის კარი, რომელიც შემდგომ ამოუშენებიათ, 1,20 მ სიგანისაა.

ეკლესიის კედლების სიგანე მეტ-ნაკლებად ერთნაირია, საშუალოდ 1 მ, ეკლესია სამხრეთის კედელში დატანებული ორი, გარეთ შევიწროებულ



სურ. 3. ვაზოვანი, ინტერიერის საერთო
ხედი (სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდი-
ლოეთი ნაწილები).

Фото 3. Вазовани. Общий вид ин-
терьера. (Юго-восточная и северная
части).

სარკმლით ნათდებოდა. სარკმლები მოწყობილი იყო სამხრეთის მხარეს მდებარე აბსიდიანი სათავის ზევით, რომელიც ცენტრალურ ეკლესიაზე გაცილებით დაბალი იყო. ერთი მთავანი სამხრეთის კარის თავზე იყო გაკრილი. სარკმელი, რომელიც აბსიდს ანათებდა, გაცილებით დაბლა იყო წინა ორ სარკმელზე.

სამკვეთლო და საღიაკენე გეგმით სწორკუთხა ჰოცვანილობის სათავსებს წარმოადგენენ. იქ შესვლა მხოლოდ დარბაზიდან შეიძლებოდა. ჩრდილოეთის სათავის ნანგრევებით არის ჩახერგილი. რაც შეეხება სამხრეთის სათავსს, (მისი სიგრძე 5 მ-ია) ის საკმაოდ ბნელი უნდა ყოფილიყო, ნათდებოდა მხოლოდ აღმოსავლეთის კედელში დატანებული გარეთ შევიწროებული სარკმლით. ვადახურვა კამაროვანი აქვს. ჩრდ. აღმოსავლეთ კუთხეში მოზრდილი ნიშა აქვს დატანებული.

მისგან დასავლეთით აბსიდიანი სათავსი მდებარეობს, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი. იგი დამოუკიდებელი საეკლესიო სამსახურის ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს. შესავლელი არ ჩანს.

იმის გამო, რომ ეკლესია გასაწმენდია და არ არის დადგენილი მისი იატაკი, არ არის გარკვეული ბევრი საყურადღებო საკითხი, არ ჩანს საყურთხევის კედლები, არ არის გარკვეული კანკელის არსებობის (აკითხი, (სურ. 3.) რაც მთავარია, ვერ გავარკვევთ გეგმარების ერთი მთავარი საკითხი — იყო თუ არა სამხრეთის და ჩრდილოეთის ნაწილები შეერთებული, როგორც გარს-შემოსავლელი. ჩვენი ყურადღება მიიქცია ცენტრალური დარბაზის სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით კედლებზე არსებულმა კონსოლებმა, რომელთა მიხედვითაც უნდა ვიფიქროთ, რომ მას გარსშემოსავლელი კქონია და კონსოლებზე ყოფილა დაყრდნობილი სტოების გადახურვა.

გ. ჩუბინაშვილი სამეცლესიან ბაზილიკებში გამოკითხს სამ — უძველეს.



საშუალო და მოგვიანო ჩვეულებს. უძველესი ჩვეულები წარმოდგენილია კერძოდ ნახის, რუისპირის, კისისხევის, ველისციხის და საბუის ტაძრებით. ეკლესიები ეკლესია სიახლოვეს ამქალაქებს შუა ჩვეულის ძეგლებთან, პირველ რიგში კი იყალთოსთან, ნეკრესის სამეკლესიანთან, ვაჩნაძის ამიდასტურთან, საბუის ნათლისმცემელთან².

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს საერთო გეგმარება; ვაზოვანის ეკლესიაში ნაგებობის შემკვერელი ცენტრალური დარბაზი, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში სამხრეთით და ჩრდილოეთით მოწყობილია გეგმაში სწორკუთხა ფორმის სათავსები. დამახასიათებელია ყველა მთავანისათვის სამი შესასვლელი კარი სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლებში, თანაც ისე, რომ სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარები ერთ ხაზზე მდებარეობენ. ნეკრესში და ამიდასტურში, დამხმარე სათავსების კუთხეებში, აღმოსავლეთ კედელთან მოზრდილი ნიშებია მოწყობილი, ისევე როგორც ვაზოვანში (აღბათ ასევე უნდა ყოფილიყო ვაზოვანის სამსხვერპლოშიც. ეს ადგილი ნანგრევებით არის დაფარული); ორიგინალურია ვაზოვანში საფეხურებიანი პილასტრების არსებობა, რასაც ცნობილ ძეგლებში თითქმის ვერა უხვდებათ. ასეთი პილასტრებია ცნობილი საყდრის ყურის ეკლესიაში არეშის ნაქალაქარზე³.

სამხრეთის მხარეს არსებული აბსიდიანი სათავსით ვაზოვანის საყდარი ძლიერ მისგავსება ნეკრესსა და ამიდასტურს. ამის შესახებ ამბობდა გ. ჩუბინაშვილი, რომ საქმე გვაქვს არა სამეკლესიან, არამედ „ხუთეკლესიან“ ბაზილიკასთან (აქეთ-იქიდან დამატებითი ერთნავიანი ეკლესიებით).⁴ ასეთი ცალნავიანი ეკლესია აქვს მიმატებული ვაზოვანსაც სამხრეთიდან. შესაძლოა, ნეკრესის ბაზილიკის მსგავსად, ვაზოვანის საყდარსაც ჰქონოდა ასეთი ერთნავიანი მომკრო ეკლესია ჩრდილოეთის მხრიდანაც, რაც დაუდგენელია, რადგან ეს ადგილები გასაწმენდია.

აღნიშნული ძეგლები, ისევე როგორც ვაზოვანის ეკლესიაც, გ. ჩუბინაშვილის დასკვნით, წარმოდგენენ ერთიან, მთლიან კომპოზიციას, სადაც ერთი სათავი არის მთავარი, დანარჩენები კი მასზე არიან დამოკიდებული. ეს მთავარი ელემენტი არის ცენტრალური ეკლესია, რომელიც მაღლა აწეული და უფრო ვრცელია. მთავარი დარბაზული სათავსის აღმოსავლეთით, საკურთხევლის აბსიდის სამხრეთით და ჩრდილოეთით, არის მოწყობილი ცალკეული ოთახები სამსხვერპლოსათვის და სალაროსათვის. ეს ნაწილები უფრო დაბალია, ისინი დამატებითი ფუნქციებისათვისაა გათვალისწინებული და არა დამოუკიდებელი სამსახურისათვის. ამიტომაცაა, რომ მათ მხოლოდ თითო შესასვლელი აქვთ, ისიც მთავარი ეკლესიიდან⁵.

ვაზოვანის ეკლესია, მსგავსად სხვა მისი თანადროული ძეგლებისა, მოკლებულია ორნამენტულ შემკობას, წარწერებს. გ. ჩუბინაშვილი ამ მოვლენას ხსნის იმით, რომ ეს იყო არქიტექტორულ ფორმათა ძიების ხანა, როდესაც არ სცნობდნენ მიზანშეწონილად მეორეხარისხოვანი დეტალებით გატაცებას⁶.

ეკლესიის ფუნქციონირების რომელიღაც ეტაპზე იგი შეუშკათ ფრესკული მხატვრობით. მხატვრობის ძალზე მცირე ფრაგმენტები დღესაც არის შემორჩენილი აფსიდის სამხრეთ ნაწილში, გაირჩევა მოშავო, მოყავისფრო და წითელი საღებავებით გამოყვანილი კონტურები.

ეკლესიის მშენებლობაში სხვადასხვა ფენა არ გაირჩევა. საფიქრებელია,



რომ ის ქრონოლოგიურად ერთ სამშენებლო ფენის ნაყოფია. მთლიანი არქიტექტურული ჩანაფიქრი ერთი ამოსუნთქვით არის შესრულებული.

ამასთან დაკავშირებით, ერთი საინტერესო საკითხი იქცევა ყურადღებას. სხვა მსგავს ძეგლებზე დაკვირვებით, ზოგჯერ ჩანს მშენებლობის მეორე ფენაც, რომელიც ძირითადად ეხება გარშემოსაველებების მოწყობას. ამის მაგალითებია — არეშის ბაზილიკა⁷, საბუის ნათლისმცემელი⁸, ჭერემის კათედრალი⁹ წინანდლის წმინდა გიორგი¹⁰ და სხვა. ასეთ შემთხვევებში სტოების გადახურვის დამკერად არსებულ ეკლესიებს უშენებენ პილასტრებს. ვაზოვანში პილასტრების სისტემა არ არსებობს. გვერდის სათავსების გადახურვის დამკერად გამოყენებულია ეკლესიის ირგვლივ (გარდა აღმოსავლეთის კედლისა) არსებული, საშუალოდ 15 სმ. სიგანის კონსოლები, რაც მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს ერთფენოვან ძეგლთან. ეს მტკიცდება ტაძრის გარეგანი იერიითაც. აღდგენულ ეკლესიის ზოგი დეტალის აღდგენა, რომელიც შეიძლება გვევარაუდებინა ანალოგიების მიხედვით, შეუძლებელია არქეოლოგიური გაწმენდის ჩატარებამდე, წინასწარ კი შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შემორჩენილი კონსოლები დასავლეთის კედელზე, ასევე სამხ. და ჩრდ. კედლებზე გვევარაუდებინებს გარშემოსაველების არსებობას. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში კონსოლების თავზე, რომლებიც სახურავს ებჯინებოდა, ქვების წყობებია გამონგრეული, რაც უნდა მომხდარიყო სახურავის ჩამოქცევის შედეგად.

როგორც აღნიშნული იყო, ვაზოვანის ეკლესია ექცევა სამეკლესიოანი ბაზილიკების შუა ჯგუფის ძეგლების წრეში და შესაძლებელია იგი სავარაუდოდ დავათარილთ VI საუკუნით.

ვაზოვანის მიდამოები, რაშიც ეკლესიასთან ერთად ვგულისხმობთ ვრცელ დასახლებასაც, ადრექრისტიანულ ხანაში საკულტო დანიშნულების ძეგლების მშენებლობის არეში არის მოქცეული, რაც ამ მხარის ძლიერ ქრისტიანიზაციის პროცესის ანარეკლი უნდა იყოს; აქვე ახლოსაა დუბის ტაძარი, ყორიანის სამეკლესიოანი, ნეკრესის ანსამბლი, ძველი გავაზის ტეტრაკონქი, არეშის ეკლესიები და სხვ. ისე, რომ აქ ცხოვრების მძლავრი აღმავლობა იგრძნობა, რაც დასტურდება არქიტექტურულ ნაგებობათა სიჭარბით სწორედ ქრისტიანობის შემოსვლისა და გავრცელების პირველი საუკუნეებისათვის.

¹ ვაზოვანის ეკლესია სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ცნობილი, ის არც საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი. მისი არსებობის შესახებ შევითქვეთ გრემ-ნეკრესის მუზეუმ-ნაერთალის დირექტორის მირიან ბუჯიაშვილისაგან, რომელმაც აღდგენილი დაგვათვალისწინა იგი 1980 წლის შემოდგომაზე. ძველი აზომილია ნ. ბახტაძის მიერ. 2, 4, 5, 6, 8, 9, 10. Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, т. I, გვ. 33. — 173—181, 186, 185, 191, 196.

² ლ. ჭილაშვილი, ბ. მველიშვილი, ნ. აფხაზავა, არეშის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, გვ. 100.

⁷ ლ. ჭილაშვილი, არეშის ნაქალაქარის გათხრები, გვ. 127, საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, 1977.

მესხეთის სიძველანი

ციურხი ლაფაჩი, ნოდარ მოხავერდის, თამაზ სულაძის, ზურაბ ფიქრის

პარცხანის ხეობის საილუმოვანი

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის კოლექტივს მეტად საპატიო და საპაუნიშმებლო მისია გეაქსრია, რადგან რეგიონი, რომელიც ჩვენი მოქმედების არეალში შემოდის, თითქმის შეუსწავლელია და შესაძლებელია შემთხვევით აღმოჩენილმა ბევრმა საინტერესო ფაქტმა ნათელი მოპოვინოს ქართველი ერის ისტორიის ცარიელ ფურცლებს.

ამ მიმართულებით ბოლო ხანებში არა ერთი კომპლექსური ექსპედიცია მოეწყო მესხეთის უძველეს სოფლებში, რომელთა შედეგად მოპოვებულ მასალებს შემდგომი მეცნიერული კვლევისათვის დასაუფლებელი მნიშვნელობა აქვს.

1985 წელს მუზეუმის საერთო გეგმაში შეტანილი გეგმონდა კურცხანის ხეობაში დაზვერვითი ხასიათის სამუშაოების ჩატარება, რაც სექტემბრის ბოლო რიცხვებში განვახორციელებს.

ეს ხეობა ერთ-ერთი უღამაზესია ადიგენის რაიონში. პატარა მდინარესაც, რომელიც ხეობაში მოედინება, კურცხანის წყალი ჰქვია. ადგილობრივი ხანდაზმული ხალხის გადმოცემით, მისი სახელწოდება მეგრულ-მეჯოგე ტომებთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომლებსაც საქონელი აქაურ საძოვრებზე გადმოჰყავდათ. მსგავსი ტოპონიმი მესხეთში მართლაც არ გვხვდება. კურცხანის ხეობა იწყება ოძრხის ხეობის გასაყართან, იქ, სადაც კლდის მაღალ ქიშხე ოძრხის მკვიდრად ნაშენი ციხე გადმომდგარა. მთავარ გზასაც სწორედ აქ სცილდება იგი.

ცად აზიდულ, უღრან ტყით დაფარულ ხეობას გარედან წარსული ცხოვრების არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობა. გოლიათი მცენარეები, რომლებიც წინაპართა სადგომებზე ღრმად ფესვგადგმულები ცაში ამაყად ატყორცნიან, იმედინად უნახავენ შთამომავლობას ოდესღაც სისხლსავსე ცხოვრების უტყუარ კვალს.

ექსპედიციის პირველმა დღემ საოცარი შთაბეჭდილების ტყეობაში მოგვაქცია, მოულოდნელმა სანახაობებმა გაგვაკვირვა. მთავარი გზის გადასახვევიდან, მეთე კილომეტრზე, ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტია გაშენებული. როგორც პუნქტის მთავარმა ოსტატმა იური დემეტრაძემ გვითხრა, კურცხანის ხეობის საექსპლოატაციო ტერიტორიას „ალმაისური“ ჰქვია, რაც თურქულად „ვალის წყალს“ ნიშნავს, ხოლო მიწის ამ ფართობზე არსებულ ყველა ნამოსახლარსა და სალოცაქს, ადგილობრივი ხალხი, ჩვეულებრივად „ალმაისურს“ უწოდებს.

პუნქტიდან დაახლოებით 3 კმ-ის მანძილზე, სამანქანე გზის მიმართულებით, ხელმარჯენივ, ციკაბო ფერდობზე უზარმაზარი ნამოსახლარია, სადაც საცხოვრებელი მშრალი ქვის წყობით არის აშენებული. ჯერ კიდევ კარგად იკითხება დასახლებული პუნქტის, როგორც ინდივიდუალური საცხოვრისების, ისე მთლიანი სამოსახლოს საზღვრები.

აქედან, კურცხანის წყლის მარჯვენა მხარეს, აღმართს შევუდევით. მდინარის კალაპოტიდან 2 კილომეტრზე, სატრაქტორო გზის მარჯენივ, ტყეში დარბ-



კურცხანი. მონასტრის დედა ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი.

Курихани. Восточная стена церкви.

„ფოლის ხიდთან“ არსებული ეკლესიის შიგნითა ხედი საკურთხევლოთ.

Церковь у «Полис хиди». Внутренний вид.



ახული ტიპის ეკლესია მოვიწახულებთ: იგი მთლიანად დანგრეულია, მხოლოდ ჩრდილოეთის კედელია გადარჩენილი. კირის წყლით და რიყის ქვით ნაშენი ეკლესიის შიგნითა და გარეთა პერანგები ნათელი კვადრებით არის მოპირკეთებული. მისი სიგრძე 7 მეტრია, სიგანე კი 5. აბსიდის მოხაზულობა გაშლილი მრუდდა, შემორჩენილია კედლის შუა სარკმლის ქვა. სარკმლის ორივე მხარეს შეისრული ფორმის ნიშებია ჩატანებული, რომლის სიმაღლე მიწის პირიდან 2 მეტრია. აქვეა ქვევრებიც ჩაყოლებული. შესასვლელი კარი სამხრეთიდან აქვს. ეკლესიის გასასვლელიდან, ხელმარჯვნივ არის მიწისქვეშა სამალავეების დიდი კომპლექსი. როგორც რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავ-



მონასტრის ტერიტორიაზე უკიდურესი აღმოსავლეთით მდგარი ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი.

Восточная стена церкви на территории монастыря.

ნასოფლარი „ალმაისურა“.

Селище «Алмаисури».



ავლებელმა პეტრე გიქოშვილმა გვიამბო, თავისი პაპის პაპის გადმოცემით დაბრანში ყოფილა ქვაზე წარწერები, სადაც მოხსენიებულნი არიან ეკლესიის აღმშენებლები და მეპატრონენი. სამწუხაროდ, გვირაბი ჩაქცეულია და შესვლა შეუძლებელია. კარგად იკითხება გარშემო გალაგანიც. ძეგლთა დაცვის სამმართველოს თანამშრომელმა არქიტექტორ-რესტავრატორმა თამარ ნემსაძემ, რომელიც ჩვენი ექსპედიციის წევრი იყო, აღნიშნული ეკლესია თავისი საშენებლო სტილით XIV საუკუნით დაათარიღა.



ორი ხევის შესაყარზე, მთის ქაშზე არსებული ეკლესიის აღმ. კედლის ფრაგმენტი.

Фрагмент восточной стены церкви, расположенной на гребне горы.

ჩვენ მიერ ნანახი ეკლესიიდან ერთ კილომეტრზე, გრანდიოზული ნამოსახლარია. ირგვლივ მიმოფანტული ციკლოპური ქვები ისეთ შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახელზე, თითქოს რაღაც საშინელი კატასტროფის შედეგად დაღუპულა აქ სიციცხლეო. აქაურობა თანდათან მიტოვებულს არ გავს. ერთი ხელის დარტყმით შეწყვეტილა ადამიანთა მოდგმის არსებობა და, როგორც ჩანს, მას შემდეგ აღარ აღმდგარა იგი.

გულისტკივილით განვაგრძეთ გზა. ჩვენს მეგზურს იური დემეტრაძეს ეჩქარებოდა ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მიწაში დამარხული ეკლესია ენახვებინა. ჩვენც ეჩქარობდით. ნამოსახლარიდან არც თუ ისე შორს, ორი ხეობის შესაყართან, ციკაბო კლდის მაღალ ქიმზე ჩვენს წინაპრებს აუშენებიათ ეკლესია, რომელიც მთელ ხეობას გადაჰყურებს, ამჟამად კი მისგან აღარაფერია დარჩენილი. გაფაციცებით დაეძებდით წარწერებს, მაგრამ რამდენიმე ჩუქურთმიანი ქვის გარდა ვერაფერს მივაკვლიეთ. ერთ-ერთი კარნიზის ქვა აღმოჩნდა, რომლის სიგანე 157 სმ-ია, ხოლო სისქე 33 სმ.

ორნამენტების კვეთის სტილის მიხედვით თანემსაძემ ეკლესიის ასაკი X საუკუნით, ან უფრო ადრე, სავარაუდო პერიოდით განსაზღვრა. თან წამოვიღეთ ლორფინის ქვის რამდენიმე ფრაგმენტი.

უკან დაბრუნებისას ნახევარი კილომეტრიც არ გვექნებოდა გამოვლილი, სრულიად შემთხვევით, გზიდან, მარჯვნივ, 200 მეტრის მანძილზე წავაწყდით დასახლებას, რომელიც ადრე ნანახს ყველას აღემატებოდა თავისი სიდიდით. ეს არის უზარმაზარი ფართობის საცხოვრებელი სახლები, მშრალი წყობით, ისინი ერთიმეორესთან დაკავშირებულნი არიან გასასვლელებით. იქვე ახლოს კი თლილი ქვის ეკლესიაა, რომელიც მთლიანად დანგრეულია და ჩუქურთმიანი

მონასტრის ტერიტორიაზე ერთ-ერთი
ეკლესიის სარკმელი.

Окно одной из церквей на территории
монастыря.



ნასოფლარი „ოთხი ქვის წისკვილი“, ხა-
როს თავი.

Фрагмент из селища «Мельница
четырёх камней».





ქვემოც იქვე ყრია. ეს ეკლესიაც ზემოთ აღნიშნული ეკლესიის ასაკის უნდა იყოს. მთავარი გზიდან, კურცხანის ხეობის მესხეთე კილომეტრზე, მარჯვენა მხარეს, ციკაბო ფერდობზე, ტყის სიღრმეში, ენახეთ ციკლოპური ქვებით ნაშენი დარბაზული ტიპის ეკლესია, რომლის გარეთა პერანგი თლილი ქვით არის მოწიკვთებული, ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. ადგილზეა ზღურბლის ქვა თავისი ქუსლით და დამახასიათებელი ჭრილით. წინ თაღოვანია. საკურთხეველის ქვა იქვეა. შესასვლელის ხელმარჯვნივ გარეთა კედლის ქვაზე ყვარია ამოკვეთილი. ეკლესიის სიგრძე — 6, 30 სმ., სიგანე კი 5 მ. უზომო უზარმაზარი, უხეშად დამუშავებული სტელა და მისი საყრდენი დგას.

თამარ ნემსაძის ვარაუდით ეკლესია VIII ს. ძეგლს უნდა წარმოადგენდეს. ექსპედიციის მეორე დღე ოძრხის ციხესა და მის მოპირდაპირედ, კურცხანის ხეობის დასაწყისში მალალ ფერდობზე ტყის მასივში მდებარე ძეგლის ფრაგმენტის დათვალიერებას მოვანდომეთ.

ჩვენს გაკვირვებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როდესაც მთავარი გზიდან დანახული ეკლესიის ერთი კედლის მაგივრად. მიწის უზარმაზარ ტერიტორიაზე სამონასტრო კომპლექსის უტყუარ კვალს წააწყდით.

დათვალიერების შემდეგ, მონასტერი მთელი თავისი დამახასიათებელი ატრიბუტებით სრულყოფილად წარმოდგა ჩვენ თვალწინ. ძალიან გვიკვირდა, რომ ასეთი დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი და შეუსწავლელი დარჩა. რადგან ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ შევეცადეთ აღნიშნული ძეგლის შესახებ რაიმე ცნობისათვის მიგვევლია სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ ვერსად ვერაფერს მივაგენით. გარდა გურჯისტანის ეპიგრაფიის დიდი დავითის მესამე წიგნისა, სადაც წერია: „იქ, სადაც ოცხეს და კურცხანის მდინარეები შეერთიან ერთმანეთს, მხარ-მარჯვნივ, ტყით შემოსილ კლდიან გორაზე, დგას ნახევრად მონგრეული ძველი ქართული მონასტერი“. მოსახლეობა დღეს მონასტრის სახელით იცნობს ძეგლს, ნამდვილი სახელი კი, ისე როგორც სხვა ძეგლებისა, ფამთა-სიავის გამო დაკარგულია.

ძეგლი დანგრეულია, მაგრამ კარგად იკითხება დანიშნულების მიხედვით არსებული ყველა ნაგებობა, თავისივე გალავნით. შემოსასვლელი, მყარად აშენებული, მაღალი კედლით არის დაცული. გალავნის კარებამდე რამდენიმე მეტრის დაშორებით ნამოსახლარი ჩანს. მონასტრის შუაგულში, მთავარი ეკლესიის აღმოსავლეთის მთლიანი კედელია გადარჩენილი. ეკლესიის სიახლოვეს კი, თითქმის ერთიმეორის ნიჟოლებით სამი პატარა ზომის სამლოცველოა, რომელთა იატაკქვეშ საძვალეებია გაკეთებული. მონასტრის აღმოსავლეთის უკიდურეს წერტილზე წაგაწყდით კიდევ ერთ ძალიან ლამაზ, მინიატურულ სამლოცველოს, რომელიც დანარჩენ ნაგებობებთან შედარებით სრულყოფილდაა შემონახული და შიგნით კედლებზეც შემორჩენილია ფრესკების ფრაგმენტები. ეკლესიის შემდეგ არაერთარი ნაგებობა აღარ შეიმჩნევა და დღეს არსებული სურათის მიხედვით იგი თითქოს ამ კომპლექსის აღმოსავლეთის საზღვარს წარმოადგენს. იმავე დღეს მოვიჩახულებთ ოძრხის ციხეც, რომლის შესახებაც ჩვენ მიერ ნახი ძეგლებისაგან განსხვავებით გარკვეული წარმოდგენა გვქონდა სამეცნიერო ლიტერატურიდან.



ექსპედიციის მესამე დღემ კიდევ უფრო საინტერესო შთაბეჭდილებები გაგვამიდრა.

ამჯერად ჩვენ მთავარი გზიდან კურცხანის ხეობის მე-15 კილომეტრზე გადავინაცვლეთ. მდინარის დინების მარცხენა მხარეს, ე.წ. ღრმა ლელესთან, არის ნასოფლარი — „ოთხი ქვის წისქვილი“. იგი მთლიანად განადგურებულია, მხოლოდ ერთი მიწისქვეშა სამალავი დარბაზია გადარჩენილი თითქმის პირვანდელი სახით. დარბაზს მერცხლის ბუდური სახურავი აქვს უზარმაზარი მთლიანი ქვისაგან გაკეთებული ქვის მშრალი წყობით. გვერდზე ცრდო და დიდი ზომის ხარო ამშვენებს. ნამოსახლარს მარჯვენა მხრიდან კურცხანის წყალი ჩამოედის, მარცხენა მხრიდან კი მამლის წყალი, და მამლის მთის ხეობით არის შემოფარგლული. როგორც მწყემსებმა გვითხრეს, აღნიშნული ხეობის სათავეში არის ციხე, რომლის ნახევარ-გერობით ვერ მოგვიხერხდა.

ექსპედიციის ბოლო დღისათვის შემოვიჩინებთ ბოდოკლდის ციხე, რომელიც სატყეო უბნიდან 8 კმ-ის დაშორებით, ციცაბო ფერდობის აგლით, ძალიან მაღალ კლდის ქიმზე მდებარეობს. ბევრი წვალების შემდეგ, მწყემსების დახმარებით მივაკვლიეთ მას. საინტერესოა ის, რომ არც ერთი მხრიდან ციხე არ ჩანს, ციხიდან კი, ხელისგულივით მოჩანს მთელი კურცხანის ხეობა. საოცარი დაცვა აქვს მას. თვითონ ის ბუნებრივი ცაღ აზიდული საყრდენი ციხისა, ისეა ამოზრდილი ირგვლივ შემადრწუნებელი სიმაღლის მქონე კლდეებს შორის, რომ ადამიანს გაუჭირდება იქ მისვლა. როგორც ჩანს, საიდუმლო გვირაბებით უკავშირდებოდა იგი სამოქალაქო ცხოვრებას. ბოდოკლდის ციხე უფრო საკონტროლო ციხის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან ერთადერთი კოშკია და არ იკითხება სხვა სახის სათავდაცვო ნაგებობანი, რაც საშიშროების შემთხვევაში, ხალხის გახიზვნასთან დაკავშირებით არის საჭირო. ეს ციხე თავისი სტრატეგიული მდებარეობით ალბათ უკავშირდებოდა მამლის მთის ხეობისა და ოძრხეს ციხეებს. დახვერეთმა სამუშაოებმა დაგვანახეს, რომ ზემოთ აღნიშნული სამი ციხის შუაში მდებარე ტერიტორია, რომელსაც კურცხანის ხეობა ჰქვია, ძალიან მჭიდროდ ყოფილა დასახლებული და კულტურულად და ეკონომიურად დიდად განვითარებულიც.

დღეს კი, უმშვენიერესი ბუნების გარემოცვაში, დაბურულ ტყეებში, საიდუმლოებით მოცულნი დგანან ეს ბუმბერაზი ძეგლები, თითქოს უპატრონონი, საუქუნოებრივ ძილსაც კი მისცემიან და მფარველს განუწყვეტელი ელოდებიან. ელოდებიან, ვინ დაარღვევს მათ მარადიულ მყუდროებას, ვინ ალაპარაკებს თავისი დროის ენით, რათა ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდეს კურცხანის ხეობის ბინადართა ვინაობა, საქმიანობა და ის ტრავიკული ფინალიც, რომლის შედეგად ოდესღაც მჩქეფარე ცხოვრება სამარადისო მდუმარებად ქცეულა და შთამომავლობისათვის ნიშნად, მხოლოდ, გავერანებული ცხოვრების შემადრწუნებელი კვალია დარჩენილა.

ბაიების (მისხეთი) კლდეში გამოკვეთილი ეკლესიები სადგომებით

სამხრეთ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. მისხველი დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს ცოცხალ მატთანესავეთ შემორჩენილ ციხე-ქალაქებს, ეკლესიებს, ტაძრებს, მონასტრებს.

სამცხე-ჯავახეთში დღესდღეობით აღრიცხული, შესწავლილი და აღურიცხავი, შეუსწავლელი ისტორიული ძეგლების სიმრავლე დაამშვენებდა ყველა ქვეყანას. ამიტომაც დადგა დღის წესრიგში ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობისა და სარესტავრაციო სამუშაოების მაღალ დონეზე აყვანის საკითხები.

ბარაჩოებშია სამცხე-ჯავახეთის ისტორიული ძეგლები. კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველო დიდ და საშვილიშვილო საქმეს აკეთებს. ახალი სი-ცოცხლე დაუბრუნდა ვარძიას, საფარის მონასტერს, ზარზმას, ოქროს ციხეს, აწყურის ციხეს, რაბათში მდებარე ისტორიულ ძეგლებს, საყუნეთის, წყორძის, ვალეს, აღრიანწმინდის ეკლესიებს და სხვა ისტორიულ ძეგლებს.

სამცხე-ჯავახეთში ყველა ხეობა განსხვავდება ერთიმეორისაგან, მაგრამ განსაკუთრებით ლამაზია წელიწადის ყველა დროში ურავლის ხეობა. მდინარე ურაველი, ნაძვისა და ფიჭვის კორომები, ხშირფოთლოვანი ტყე, ალპური საძოვრები, ანკარა წყაროები, ნასოფლარები, ისტორიული ძეგლები უფრო მეტ შნოსა და იერს მატებს განუმეორებელ ურავლის ხეობას. ეს ხეობა მდიდარია ხუროთმოძღვრული ძეგლებით. უძველეს მესხურ სოფელ წყორძაში ზამდენიმე ეკლესიაა. წმინდა ნინოს, წმინდა თევდორეს, წმინდა გიორგისა და ბაიების.

ჩვენ ამჯერად გვინდა ყურადღება შევაჩეროთ სოფელ წყორძის დასავლეთით ქისათობის მთისკენ მიმავალი გზის შვეულ კლდეებზე გამოკვეთილ ბაიების („ბაიოლღების“) სადგომებზე და ეკლესიებზე. „ბაიებში“ დაახლოებით კლდის შუა სიმაღლეზე შენობათა მთელი ჯგუფია: გალავნის ნანგრევები, გალავნის შიგნით კი კლდეზე მიბჯენილი, თითქმის კლდეში შედგმული, ორი ერთნაიანი ეკლესიაა ერთიმეორის გვერდით, ერთი — მარცხენა, უფრო დაბალია, მეორე — უფრო მაღალი და ვრცელი. გარედან ჩანს ეკლესიათა მხოლოდ სამხრეთის კედლები. მცირე ეკლესია მთლიანად თლილი ქვითაა ნაშენი. დიდ ეკლესიაში მხოლოდ სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები და კამარაა ქვით ნაშენი, ხოლო დასავლეთის კედლის დიდი ნაწილი და საკურთხეველი კლდეშია გამოკვეთილი. ეკლესიებს გარედან კარგად მოჩუქურთმებული კარნ-ზი აქვს. მარჯვენა, დიდი, ეკლესიის შიგნით ძველი მხატვრობის უმნიშვნელო კვალია დარჩენილი.

ეს ეკლესიები მხოლოდ ნაწილია მთელი კომპლექსისა. მათ ქვეშ ორ სართულად განლაგებული რაღაც სადგომებია (ქვით ნაშენი წინა კედლებით), ხოლო დიდი სამლოცველოდან კლდეში ამოკვეთილი გასაძრომი და სანაღვრები იწყება.

ბაიების ყველა შენობა შეიძლება ერთ დროს არ იყოს აშენებული, ის კი ცხადია, რომ მთელი კომპლექსი მომწიფებულ შუასაუკუნეთა ხანას ეკუთ-



ბაიების მცირე ეკლესიის ხედი სამხრეთიდან. (ფოტო № ფეიქრიშვილისა).

Малая церковь Баниби. Вид с юга. (Фото З. Пейкришвили).

ბაიების ეკლესიიდან ჩამოწვრილი რუქურთმიანი ქვის ნატეხი (ფოტო № ფეიქრიშვილისა).

Фрагмент камня с орнаментами из церкви Баниби. (Фото З. Пейкришвили).






ბაიების საერთო ზედი კლდეში გამოკვეთილი სადგომებიდან (ფოტო ზ. ფეიქრიშვილისა).

Общий вид Банеби.
(Фото З. Пейкришвили).

ბაიების კლდეში გამოკვეთილი სადგომებისა და ეკლესიების საერთო ზედი (ფოტო ზ. ფეიქრიშვილისა).

Общий вид высеченной в скале церкви Банеби. (Фото З. Пейкришвили).





ქვაზე ამოკვეთილი „განედღებული ჭკარი“ (ფოტო ზ. ფეიქრიშვილისა).

Рельефное изображение «процветшего креста».

(Фото З. Пейкришвили).

